რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 24 იანვარი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 18 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 18

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით	— 4 მან. 50 კაპ.	ექვსი თვით	— 27 მანეთი
ორი თვით	— 9 მანეთი.	ერთი წლით	— 50 მანეთი
სამი თვით	— 13 მან. 50 კაპ.		

ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მელიტონ მიხეილის ძე, შვილი მისი ტატიანა მელიტონის ასული სოსელია, დაი მარიამ მიხეილის ასული და სიძე სიმონ საჩინოს ძე წიქორიშვილები, მამა ივანე სიმონის ძე, დედა სოფიო სიკოს ასული ჩოჩიები, ძმები და დები აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ ძვირფასი

მარგარიტა ივანეს ასული სოსელიას

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 26 იანვარს. ცხედარი იქნება გამოსვენებული რუსთაველის ქუჩა სახლი № 6, დაკრძალვა მოხდება დღის 2 საათზე ნაძალადევის წმინდა გიორგის ეკლესიაში და იქვე გალავანში იქნება დასაფლავებული. პანაშვიდი გადახდილ იქნება ყოველ დღე 6 საათზე საღამოთი. (3—1)

ღრმად დამწუხრებულნი ბიძაშვილები: სიმონ პეტრეს ძე სოსელია, რომანოზ გიორგის ძე, მეუღლე მისი დესპინე მოსეს ასული, გერასიმე ივანეს ძე, მეუღლე მისი ნადე, გერასიმე პეტრეს ძე და მეუღლე მისი ენტერია ზურაბის ასული, ივანე პეტრეს ძე და კოლა გერასიმეს ძე სოსელიები აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ ძვირფასი

მარგარიტა ივანეს ასული სოსელიას

უდროოთ გარდაცვალებას. (3—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სპირდონ ვასილის ძე კაჭარავა, შვილები: გიორგი, ვასილი, ელისაბედი, მარგარიტა, ნინო, ანასტასია, პელაგია, სიძე ალექსი ჩიჩუა, დედა მარია, ძმები დავით და ვლადიმერი ფულარიები, რძლები ფეცუ და ნატალია ფულარიასა და ივლიტა თურქიასა თავის ქმრით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

დესპინე ბესარიონის ასულის კაჭარავას

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე. გასვენების დღე იქნება გამოცხადებული. თფილისი, გროზნის ქუჩა, № 5, საკუთარი სახლი. (4—1)

პური

23 იანვრიდან ყველა უბნის საბარათო ბიუროებში დაიწყო დარიგება ახალი სერიის პურის ბარათებისა (თებერვლისათვის).

პურის ბარათების მისაღებათ საჭიროა ძველი სასურსათო ბარათების წარდგენა.

დაწესებულებანი და ორგანიზაციები პურის ბარათებს მიიღებენ ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების საპურო ბიუროსაგან მაგრამ ამასთანავე საჭიროა წარადგინონ დაწესებულებაში მყოფ პირთა სია და მათი სასურს. ბარათები.

სახლის კომიტეტებმა კი პურის ბარათების მისაღებათ კეთილ ინებონ და წარადგინონ უბნის საბარათო ბიუროში თავიანთ წევრთა სია და მათი სასურსათო ბარათები.

(3—1) ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ჩვენი ხალხის საყურადღებოთ

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ

მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 2 საათამდე.

თფილისის ქალაქის გამგეობის სავალდებულო დადგენილება

1) 1 თებერვლიდან პური მიეცემა მხოლოდ სახლის კომიტეტებს ვარდისფერ ბარათებით.

2) იანვრის განმავლობაში ბინის კომიტეტებს პური მიეცემათ რიგის გარეშე.

3) პურის სავაჭროები ვალდებულნი არიან ნაწილ-ნაწილათ აწონილი პური მისცენ ბინის კომიტეტებს მათგან წარდგენილ ბარათების თანახმათ.

4) პურის დუქნები და ფურნეები ვალდებული არიან პურის გაყიდვა დილის 6 საათიდან დაიწყონ. ბინის კომიტეტებისათვის პური უნდა შემოინახონ მოთხოვნილების თანახმათ.

5) ბინის კომიტეტები ვალდებულნი არიან იქონიონ თვითოეულ ბინაში მცხოვრებ პირთა სია ბინის დამქირავებელთაგან ხელმოწერილი, ეს უკანასკნელები კი პასუხს აგებენ სიაში შეტანილ სიყალბეში და აგრეთვე თუ თავის დროზე არ გააგებიეն ბინის კომიტეტს ამა თუ იმ პირის ბინიდან გადასვლა.

შენიშვნა: ამ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვეველნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი 1917 წ. 17 მარტის დროებითი მთავრობის რედაქციით გამოცემულ დებულების მე-29 მუხლის ძალით, რომლის თანახმათ დამნაშავენი ისჯებიან მომრიგებელ-მოსამართლეთა მიერ.

(3—3) **თფილისის ქალაქის გამგეობა.**

განცხადება

ქალაქ ჭიათურის თვითმართველობის აღმასრულებელი შემფასებელი კომისია ამით აუწყებს ჭიათურის მოქალაქეთ, რომ 1918 წლის 10 თებერვლიდან დაიწყება ქ. ჭიათურაში უძრავ ქონებათა

აღწერა და შეფასება

აღწერის მიზანია ქალაქის სასარგებლოდ შემოსავლისა და გვარად გადასახადების დაწესება. მამულის პატრონები ვალდებულნი არიან აღწერას და შეფასებას დაესწრონ პირადათ, ან და თავიანთი წარმომადგენლების სახით.

აღმასრულებელი შემფასებელი კომისიის თავმჯდომარე ალ. გამრეკელი.
მდივანი ივ. წერეთელი.

ამიერ კავკასიის სეიმი

ბოლშევიკების მიერ ძალა-უფლების ცენტრში ხელში ჩაგდების გამო განაპირა ქვეყნები თავის ანაბარა დარჩენ და თითოეული მხარე იძულებული გახდა საკუთარი ძალღონით შესდგომოდა ეკონომიურ და საზოგადოებრივი ცხოვრების დროს და გარემოების მიხედვით მოწესრიგებას.

დამფუძნებელი კრების გარეკის შემდეგ მდგომარეობა უფრო კატასტროფული შეიქნა და ამიერ კავკასიის მცხოვრებნი თავის და უნებურათ იძულებული ხდებიან თავის თავს საკუთრათ მოუარონ. ახლა საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობა გადასაჭრელათ მრავალ საკითხებს აყენებს, რომლების გადადება და დაყოვნება შეუძლებელი ხდება. ეს საზოგადოებრივი და ეკონომიური საკითხები ეჭვს გარეშეა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეჭრა და იგი საერთო რუსეთის მაშტაბით უნდა მომხდარიყო.

მაგრამ ცენტრალური, ავტორიტეტული ორგანო—დამფუძნებელი კრების შეკრება და მისი განმტკიცება არ მოხერხდა. ბოლშევიკების პარტიულმა დიქტატურამ დროებით არარათ გადააქცია და არც იმედია, რომ იგი ახლო მომავალში შესდგეს.

ცხოვრება კი თავისას მოითხოვს. ეკონომიური და საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოუდგენლათ იწეწება, ჩვეულებრივი გაცვლა-გამოცვლა, ღებ-მიცემობა, მიმოსვლა, სოციალური წყობილების მოწყობა და რევოლიუციონური წესრიგის განმტკიცება მტკიცე ნიადაგზე დამყარებას საჭიროებს.

ასეთ საჭიროებას, ვიმეორებთ, თვით საზოგადოებრივი ცხოვრება აყენებს და იგი არ არის ერთი რომელიმე პარტიის ანუ ჯგუფის ჟინიანობის ანდა პროგრამულ მოთხოვნის შედეგი. ამ კითხვების დაუყოვნებლივი ასე თუ ისე გადაჭრა კი საჭიროებს აუცილებლათ ავტორიტეტულ ორგანოს, ამიერ-კავკასიის ხალხის მიერ აღიარებულ საერთო მთავრობას. აბა, თუ არ ასეთი ორგანო, ვინ შესძლებს ამიერ-კავკასიაში მთავარ საკითხების გადაჭრას, რომლის ბედში ყველა ერთნაირათ დაინტერესებულები არიან. ასეთი საკითხები მაგ. მიწის, ზავის, ამიერ-კავკასიის ტერიტორიის გამიჯვნა, რომელთაც შემდეგ ამისა მოუვლიან ეროვნული თვითმართველი ერთეულები, არჩეული საყოველთაო საარჩევნო წესით. ეს ისეთი კითხვებია, რომლის დაუყოვნებლივ გადაჭრაში დაინტერესებულია ამიერ-კავკასიაში ყველა ერის მცხოვრების დიდი უმრავლესობა.

აი, რა უნდა გააკეთოს ამიერ-კავკასიის სეიმმა და რა მისცემს მას ცხოველმყოფელ ძალას.

ამიერ-კავ. ერები ეკონომიურათ და საზოგადოებრივათ გაცილებით მჭიდროთ გადაბმულები არიან ერთმანეთს შორის, ვიდრე სხვა რომელიმე კუთხესთან. წარმოება, მიმოსვლა, წარმოების განაწილება, ისტორიული და ტერიტორიალური მოსახლეობა ამიერ კავკასიაში იმ სახით მოეწყო, რომ აქ მოსახლე ერები ერთმანეთზე გადიხლართენ და ერთმანეთს დაუკავშირდენ. მიუხედავათ ზოგიერთა ერების ურთიერთაშორის ნაციონალური ანტაგონიზმისა, მაინც ისინი ძლიერი ეკონომიური ურთიერთობით არიან შეკავშირებული და ურთიერთმანეთოთ არსებობა არ შეუძლიანთ. ამიერ კავკასიის მცხოვრებნი დიდი ხანია კარჩაკეტილ მეურნეობას დაეთხოვენ და საქონლის გაცვლა-გამოცვლის მეოხებით გადაებნენ. ეს კავშირი გაცილებით ძლიერია, ვიდრე სხვა რომელიმე საზოგადოებრივი მოვლენა. დასახელებულ ურთიერთობაზეა აღმოცენებული კლასობრივი დიფერენცია, საზოგადოებრივი ძალების დანაწილება. კლასების გაერთიანება და დანაწილება — მიუხედავათ ეროვნებისა და რწმენისა—ფართო მაშტაბით მოხდა და ყველა მშრომელი კლასები ერთმანეთთან შეაკავშირა. ამ კავშირს ვერ გასწყვეტს ბეგებისა და აღალარების, ქართველ ყოფილი ბრწყინვალე წოდებისა და სხვა ერების ბურჟუაზიული კლასების სულის კვეთება. მით უმეტეს ეხლა, როცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ რევოლიუციონურმა მსვლელობამ მრავალი ეკონომიური და სოციალური საკითხების გადაჭრა წამოაყენა. მიწა, ზავი და ეროვნული საკითხის გადაჭრა საერთო დემოკრატიის საქმეა და მაშასადამე ამ საერთო დემოკრატიულმა მიმდინარეობამ საერთო ორგანოც უნდა შექმნას. ამნაირ ორგანოთ კი დღესდღეობით ამიერ კავკასიის სეიმი იქნება და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იგი ავტორიტეტული იქნება, სხვა ორგანოებს არ შეუძლიან ამ დიდი კითხვების დროს შესაფერათ გადაწყვეტა.

თვით შვეიცარიაში, სადაც სხვადასხვა ერები დაახლოებით ასევე მოსახლეობენ და მათ შორის კავშირი—კანტონალური ქვეყნების საერთო საბჭო ყველა კანტონების საბჭოებზე ავტორიტეტულია და რაც დრო გადის პირველი ავტორიტეტული ხდება და იგი ყველა კანტონებისათვის სავალდებულო კანონებს იმუშავებს. ასეთია ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ტენდენცია და აქეთ მიილტვის ყველანი. რასაკვირველია უკანასკნელი გარემოება არ უარყოფს სხვადასხვა ეროვნებათა მიდრეკილებას თავთავიანთ საქმეს თითონ მოუარონ.

დღეს, განსაკუთრებით ახლა, როცა ეკონომიური და სოციალური საკითხების გადაჭრა ყველასათვის საჭიროა და მის საყოველთაო მაშტაბით გადაწყვეტაში ყველა ერის ფართო დემოკრატიაა დაინტერესებული, ამიერ-კავკასიის სეიმი ცხოველ-მყოფელი იქნება და მისი ავტორიტეტიც ძლიერი გამოდგება. მაშ ვუსურვებთ ამიერ-კავკასიის სეიმს ის ძირითადი საკითხები, რომელიც ასე აინტერესებს ყველა ერის ფართო დემოკრატიის სისწორით გადაჭრას და ამ გზით შეაერთოს ისინი ერთ ძლიერ ორგანიზაციათ, რომლის სიმაგრეზე დაილეწებიან ყველა ჯურის რეაქციონერებისა და კონტრ-რევოლიუციონერების ხომალდები.

ჩვენი მოვალეობა

ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმმა მუშაობა დაიწყო. ჯერ-ჯერობით კიდევ არ დასრულებულა მისი კონსტრუქცია, მას არ უთქვამს, თუ როგორი იქნება მისი საქმიანობა. ეს გამოირკვევა მას შემდეგ, რაც სეიმის პარტიები და ჯგუფები თავიანთ მოქმედების გეგმებს გამოაქვეყნებენ, როცა ისინი წაიკითხავენ ეგრეთ წოდებულ დეკლარაციებს და ამ დეკლარაციების მიხედვით სეიმი როგორც მთელი დაადგება ერთს რომელსამე გადაჭრილს სამოქმედო გზას და მთავრობას შეადგენს.

ჯერ-ჯერობით სეიმმა ამოირჩია თავმჯდომარე და მდივანი.

თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩევა ბრძოლაში გამოცდილ წინამძღოლის კარლო ჩხეიძის თავდებია იმისი, რომ სეიმი არ გადაუხვევს სწორს გზას და ღირსეულათ შეასრულებს იმ დიდ მოვალეობას, რომელიც მას დააკისრა ისტორიამ კერძოთ ამიერ-კავკასიის და საერთოთ რუსეთის რევოლიუციის წინაშე.

მაგრამ, როგორც ლასალმა სთქვა, კონსტიტუცია ძალთა განწყობილების გამომხატველია, მას მნიშვნელობა აქვს არა როგორც ქაღალდის ნაგლეჯს, არამედ როგორც ხორცშესხმულ ძალას.

ეს ძალა კი ხალხის მასსაა. თუ ხალხი შეკავშირდება და თავის მოთხოვნებს წაუყენებს სეიმს, თუ ეს ხალხი შექმნის ძალას, სეიმიც ღირსეული წარმომადგენელი და წინამძღოლი იქნება ამ ხალხის, წინააღმდეგ შემთხვევაში—სეიმი გამოუსადეგარი დაწესებულება გახდება.

ასე იყო ყველგან, ასე იქნება ჩვენშიც.

მარტ-აპრილის თვეებში რუსეთის რევოლიუციურ მთავრობას კადეტები უდგენ სათავეში, მაგრამ ამ თვეებში უფრო იყო დაცული რევოლიუციური წეს-რიგი, უფრო მეტს პატივს სცემდენ პიროვნების და სხვა გვარ თავისუფლებას, ვინემ ოქტომბრიდან მოყოლებული, თუმცა ამ უკანასკნელ თვეებში მთავრობის სათავეში დგანან არა ბურჟუები, არამედ ხალასი სოციალისტები—ბოლშევიკების სახით და როგორც შიდა რუსეთში მასის თავ-აშვებულ და უგუნურ ინსტიქტების გამომხატველნი გახდენ ბოლშევიკები, ისე ჩვენში სეიმიც არარაობათ იქცევა, თუ ჩვენ მას მხარი არ დავუჭირეთ და ღვთის ანაბარა მივატოვეთ.

ამ ანარქიის და გარეშე ომის ხანაში უმთავრესია, რასაკვირველია, შეიარაღებული ძალა.

რევოლიუციამ ყველაფერი ძველი მოშალა, დაანგრია. ახალი ჯერ აშენებული არაა, გარდა ამისა რევოლიუციონერები საერთოთ რაინდი ხალხია, ამიტომ ისინი ერიდებიან ძალის ხმარებას და უმთავრესათ მცხოვრებლების რევოლიუციონურ სინდისს მიმართავენ, ცხოვრება კი ისეა მოწყობილი, რომ ხალხის ერთი ნაწილი არაფერს, გარდა ფიზიკურ ძალისა, პატივს არა სცემს. ის დარწმუნებულია, რომ რაც უნდა ჩაადინოს პასუხის მომთხოვი არავინ არის.

ამიტომ არის საჭირო საგრძნობი ფიზიკური ძალა არსებობდეს.

გარდა ამისა სეიმს თვით ცხოვრებამ დაუსვა საკითხი ზავის ჩამოგდების შესახებ. მაგრამ ყოველგვარ ზავს ხომ ვერ შევურიგდებით. საჭიროა რამე ძალა გქონდეს, იმდენი მაინც, რომ შინაური ანარქია მოსპოთ და ამით მეზობელს საბაბი არ მისცე შინაურ საქმეში ჩარევის.

ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ სეიმის არსებობა დღევანდელ პირობებში აშკარათ და ნათლათ სვამს საკითხს შეიარაღებულ ძალის შექმნის შესახებ.

სეიმი იდეით და სურვილით მხოლოდ გაგრძელებაა რუსეთის დამფუძნებელ კრების, ის აწარმოებს თავის მუშაობას როგორც დამოკიდებული ორგანო. მაგრამ დღეს მდგომარეობა ისეთია, რომ ადგილობრივ კითხვებს სეიმი სწყვეტს დამოუკიდებლათ, თუმცა სრულიად-რუსეთის მაშტაბით.

ამგვარათ დღეს ამიერ-კავკასია იძულებულია დამოუკიდებლათ აწარმოვოს თავისი ცხოვრების მოწყობა, იძულებულია თავის ტერიტორიაზე იმოქმედოს ისე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები მოქმედებენ, იმ განსხვავებით, რომ სხვა სახელმწიფოების ბედი გამორკვეულია მაინც; ჩვენ კი სრულებით არ ვიცით, რა მოგველის ხვალ.

სახელმწიფომ, რომლის ნაწილს ჩვენ შევადგენთ, სავსებით ხელი აიღო ჩვენზე. ჯარები ფრონტიდან სახლებში ბრუნდებიან, თითქოს საზღვრების დაცვა მათს მოვალეობას არც კი შეადგენდეს. ამიტომ გვჭირია ჩვენ ჯარი, რომ სანამ რუსეთთან დარღვეული კავშირი ისევ აღდგენილ იქნებოდეს, ჩვენს თავს როგორმე ვუპატრონოთ. ყოველი დაყოვნება, ყოყმანი სიკვდილს ნიშნავს.

ამიტომ სეიმისთვის მხარის დაჭერა და მისი გამაგრება უპირველეს ყოვლისა ჯარის შექმნით უნდა მოხდეს. განსაზღვრული ნაწილი ჯარში წავა, დანარჩენები კი სახალხო მილიციას შეადგენენ. ყველა მოქალაქემ პირნათლათ უნდა შეასრულოს თავისი რევოლიუციური მოვალეობა.

ჩვენში რევოლიუცია დღეს იწყება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კავკასიის ხალხი გაამართლებს იმ იმედებს, რომელსაც მასზე რუსეთის საერთო დემოკრატია ამყარებს. ის დაამტკიცებს, თუ როგორ უნდა სიცოცხლე და თუ საჭირო იქნება სიკვდილსაც არ შეუშინდება.

პრესა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ნაციონალისტების დამოკიდებულება სეიმთან: მათი სურვილია არ არსებობდეს სეიმი, როგორც ამიერ კავკასიის ცენტრი.

აი რას სწერს „სახალხო საქმე" 23 იანვრის მოწინავეში:

„საზოგადოების თითქმის ყველა ელემენტი მეტად ეჭვის თვალით უცქერის სეიმის აწმყოს და მომავალს. თვით სოციალ-დემოკრატია, რომელიც სეიმის მბრძანებელია, უიმედოთ არის გამსჭვალული"-ო.

რომელია ეს „თითქმის ყველა ელემენტი" რომელიც ეჭვის თვალით უცქერის სეიმის აწმყოს და მომავალს? „სახალხო" არ ამბობს. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიას, „სახალხო" ტყვილა იწუხებს თავს და ჩვენს გულში იხედება.

ყველაზე საინტერესო ის არის, თუ როგორ ახასიათებს სეიმს „სახალხო". ის სწერს:

„ეხლანდელ ხასიათის და შემადგენლობის სეიმი თავს ვერ გაართმევს არსებულ მდგომარეობას, სეიმი არა თუ შეეფერება დღევანდელ სულისკვეთებას, ის სავსებით გარიყულ საზოგადოებრივ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, ის ვერ ფარავს სხვადასხვა წრეს, **ის არ არის თაიგული საუკეთესო ინტელექტუალურ ძალისა, ის არ არის ნამდვილი და უშუამავლო გამომხატველი მიწის და მრეწველობის მუშების ინტერესებისა** (ხაზს ჩვენ უსვამთ). რატომ არ წარმოადგენს სეიმი ფედერალისტების აზრით, „საუკეთესო ინტელექტუალურ ძალის თაიგულს"? ეს ადვილი გასაგებია, რადგან ამ „თაიგულში" ფედერალისტური ყვავილი არ ურევია, მაგრამ რას ნიშნავს ეს „უშუამავლო გამომხატველი მიწის და მრეწველობის მუშების ინტერესებისა"—ჩვენ არ ვიცით, არ ვიცით იმიტომ, რომ სეიმი წარმომადგენლობითი დაწესებულებაა, და როგორც ასეთი, ის უშუამავლო ვერ იქნება. საბერძნეთში პითიას უხრჩოლებდენ და ის სხვადასხვა საიდუმლოებით სავსე სიტყვებს წარმოსთქვამდა. „სახალხო"-საც ასე ხომ არ ემართება.

⁂

სამაგიეროთ ჩვენი „ეროვნული დემოკრატები" პირდაპირ სმენ საკითხს, „საქართველო" ასე ახასიათებს სეიმს:

„ჩვენი ღრმა რწმენით ეს დაწესებულება მძაფრ ვნებათა ღელვას და შეტაკებას არ გამოიწვევს, ის დაღრება თავისთავათ, როგორც სუსხიან ატმოსფერაში გადატანილი უცხო მცენარე და მისი სიკვდილი სიბრალულის ცრემლებს არ გამოიწვევს თვით იმ ორიოდე მეოცნებე ფედერალისტში, რომელნიც დღეს ბედის მქადაგებლის შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეებისას"-ო.

სეიმის სიკვდილი რომ სიბრალულის ცრემლებს არ გამოიწვევს არც ეროვნულ დემოკრატებსა და არც ფედერალისტებში, ამაში ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ სიხარულითაც კი აღივსება მათი მამულიშვილური გული. მაგრამ „საქართველო" ცარიელი გრძნობებით არ კმაყოფილდება. ის იარაღს იხამს და მუქარით მიმართავს მეზობლებს.

„არც ჩვენ შეგვიძლია ბორჩალოსა, ჯავახეთისა, აჭარა-ახალციხისა და არტაანის დათმობა. ბოლოს აშკარა ხდება, რომ ამ საკითხსაც თვითეული მხარის რეალური ძალა გადასწყვეტს და არა შემათანხმებელი რეზოლიუციები"-ო.

დასკვნა აშკარაა: ეროვნული დემოკრატები სეიმს განზე სდგებენ და პირდა-

პირ რეალურ ძალით იმუქრებიან სოშენტარების წინააღმდეგ.

ხალხს არ კითხავთ!

* *

ბოლშევიკებს თურმე, არ მოსწონთ ფრაზები. „ბრძოლა“ სწერს:

„საქმე არ არის მარტო ფრაზები, რომელსაც ადგილი ქონდა თებერვლის რევოლიუციის შემდეგ რვა თვის განმავლობაში“-ო.

„ბრძოლა“-მ ნუ თუ არ იცის, რომ სწორედ ფრაზებით სულდგმულობს ბოლშევიზმი, ხოლო საქმეს რაც შეეხება, ბოლშევიზმს არაფერი დადებითი არ გაუკეთებია! ამის მაჩვენებელია ბოლშევიკების სამი თვის ბატონობა შიდა რუსეთში. რა გააკეთეს ამ ხნის განმავლობაში?

* *

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ „ბრძოლა“ ვერ არჩევს პრინციპიალურ კამათს პირად კინკლაობისაგან. ამას წინათ თავუნას მოსდგენ, როცა არსებითად ვერაფერი თქვეს მისი ფელეტონის შესახებ. ახლა ნ. ელიავას და ვ. ჯუღელს ამცირებენ. აქ არ ერიდებიან, რასაკვირველია, ტყუილებსაც: ელიავას და ჯუღელს ყოფილ ბოლშევიკებათ ნათლავენ, ნამდვილათ კი ელიავამ და ჯუღელმა არ ისურვეს ჩვენთან ორგანიზაციულ კავშირის გაწყვეტა და თავიანთ პოსტზე დარჩნენ, ამ მხრით მათ მეტი საბუთი აქვთ იდეურ ბოლშევიკებათ ჩასთვალონ თავი, ვინემ „ბრძოლაში“-ში მოკალათებულ უპასუხისმგებლო პირებს.

ეს კარგათ იცის „ბრძოლა“-მ და ამიტომ სხვა რომ ვერაფერი მოუხერხებია, ასე ახასიათებს ელიავას და ჯუღელს:

„ეს ბოლშევიკები, მეტადრე ჯუღელი, დიდ ბედაურებს არც ჩვენთან წარმოადგენენო“.

საკვირველია, რომ ამის დამწერი ბოლდები რედაქციაში სხედან!

კავკასიის ფრონტი

პოლკოვნიკი მორელი ატყობინებს სამხედრო კომისარს: „ვინაიდან ქურთების ჩვენს საეტაპო პუნქტებზე თავდასხმას ბოლო არ ელება, ქურთების წარმომადგენლებს წერილობით წინადადებას ვუგზავნი მიიღონ ზომები. უკეთუ საჭირო ზომები არ იქნა მიღებული, საჭიროთ მიმაჩნია ქურთების სოფლებში დამსჯელი რაზმების გაგზავნა. როგორც აგენტების მიერ შეკრებილი ცნობებიდან ვრწმუნდები, ოსმალები ერზინჯანზე თავდასხმას აწყობენ. მათ იმედი აქვთ ამ თავდასხმაში დაეხმარებიან ქურთები და ოსმალოთა მშვიდობიანი მცხოვრებნი. ქურთების ძალა ამ რაიონში 3 ათასი კაცი უნდა იყოს, ოსმალთა ასკერები (ჯარისკაცები) ორი ათასამდე კაცი. ცნობები გვაქვს, რომ ერზინჯან—მამახათუნის გზის რაიონებში თავს იყრიან ქურთები. გადაწყვეტილი მაქვს ამ გზის მახლობლათ მდებარე სოფლებში მოსახლე ქურთები მდ. ეფრატს გაღმა გადავასახლო“.

20 იანვრის თარიღით გამოგზავნილი მოხსენების თანახმად კავკასიის ფრონტზე დროებით შერიგების პირობები არ დარღვეულა.

საზავო მოლაპარაკება.

ოსმალეთის საზავო წინადადების განსახილველათ, რომელიც უნდა მოხდეს ამიერ-კავკასიის კომისარიატის და მეზობელ ავტონომიურ მხარეების წარმომადგენელთა თათბირზე 1 თებერვალს, უკრაინის რადამ თავის წარმომადგენლათ დანიშნა ა. ი. სტრაჟევსკი.

—

გერმანია საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის მოკავშირეებთან. ამის შესახებ 21 იანვარს თფილისში შემდეგი ცნობა მოვიდა: რუსეთის მოკავშირენი, როგორც სჩანს, თანხმა არიან რუსეთთან შეუთანხმებლათ შეუდგენ საზავო მოლაპარაკებას. მათ აზრათ აქვთ რუსეთზე გავლენა ურთიერთშორის გაინაწილონ. იაპონიასა და ამერიკას დაეთმობა ციმბირი, გერმანიის გავლენის ქვეშ იქნება პეტროგრადი და აგრეთვე მთელი ჩრდილო რუსეთი, უკრაინა საფრანგეთის გავლენის ქვეშ იქნება. სტამბოლი დარჩება ოსმალებს. სრუტეები კი გამოცხადდება ნეიტრალურათ. კავკასია, სპარსეთი და თურქესტანი იქნება ინგლისის გავლენის ქვეშ.

ხმები დარდანელის შესახებ

როგორც თფილისში ცნობა მოვიდა, 20 იანვარს ბათუმში შემდეგი რადიოტელეგრამა მიუღიათ: „ინგლის-საფრანგეთის ესკადრამ დაიკავა დარდანელის სრუტე და მრავალი სამხედრო და სავაჭრო გემებით შემოვიდა შუაგულ სრუტეში“.

ახალი ამბები

გაფიცვა. რადგანაც ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის ტარიფი არ მიიღეს მეპატრონეებმა, ქვემოთ ჩამოთვლილ წარმოებათა მუშები 22 იანვრიდან აცხადებენ გაფიცვას: გაფიცულთა ადგილები ბოიკოტის ქვეშ იმყოფებიან. გაფიცვა გამოცხადებულია სტამბებში: მარტიროსიანცის, კოზლოვსკის, კილაძის, მაჩკოვსკის, „შრომის“, კულტურის, პოგოსოვის, ვიტენზოვის, ტარუმოვის, ეკონომიის, „ქართლის“, პიტნავას და გაზეთ „აისტანის“. ლიტოგრაფიებში: ბიბოვის, მესხიევის, შახბაზიანცის, დემუროვის, თფილისის ობსერვატორიის. მსწრაფლმბეჭდავებში: მატინიანცის და პოგრებეცკის. საამკინძველოებში: მალხასიანცის, პარსეგოვის, სარიბეგოვის, ქურდიანის, ფილშტეინის, პანულავას, ბანანცის, კაპამანჯანცი გალაის.

◆ **სურსათი.** 21, 22 და 23 იანვარს თფილისის საგუბერნიო სას. გამგეობამ მიიღო: 6 ვაგონი ფქვილი, 4 ვაგ.—ხორბალი და 1 ვაგ. შვრია.

◆ **კონფერენციის გადადება.** 21 იანვარს დანიშნული თფილისის საავთამყოფო კასების კონფერენცია არ შედგა წარმომადგენლების საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. საორგანიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით ხსენებული კონფერენცია მოხდება კვირას, 28 იანვარს, დილის 10 საათზე და კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც დაესწროს.

◆ **ტყიბულის ქვანახშირის მადაროების** მუშებმა მთელი რიგი ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებები წარუდგინეს სამხედრო სამრეწველო კომიტეტს, რომელმაც ამის გამო ამიერ კავკ. კომისარიატის შრომის სამინისტროს განყოფილებას მიმართა. კომისარიატმა წინადადება მისცა ქუთაისის კომისარს წარმოადგინოს ახლო მომავალში მოხსენება გაფიცვის შესახებ.

◆ **ცხენები.** ქალაქთა კავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ დეპეშა გაუგზავნა ამიერ კავკასიის ყველა ქალაქების თვითმართველობებს, რომელშიაც იგი ეკითხება, თუ რამდენი ცხენი იქნება მათთვის საჭირო. ცხენების განაწილება ახლო მომავალში მოხდება.

◆ **ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა** ს. დ. ფრაქციის ბიუროს კრება შესდგა 12 იანვარს. კრებამ მსჯელობა იქონია კულტურულ-განმანათლებელ მოქმედების შესახებ და გადასწყვიტა მოაწყოს 4 სკოლა: საკვირაო და ყოველ დღიური სკოლები გაიხსნება: სასალახოზე, ბოლნიჩნი გოროდოკში, ქალაქის ცენტრალურ [illegible] და ერთიც რომელიმე უბანში. გადაწყდა აგრეთვე მოეწყოს კურსები საზოგადო და მუნიციპალურ კითხვებზე, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, ლექციები, სა[illegible] კონცერტები. კულტურულ-განმანათლებელ სექციაში აირჩიეს ნ. ა. რუსია, კ. ა. ბლოკი, მ. ს. ფეგელმანი და ა. ი. გიტელი.

◆ **ბათუმიდან** ქალაქის თავი ატყობინებს ამ.-კავკასიის კომისარიატს, რომ სახელმწიფო ბანკის მდგომარეობა ხურდა ფულის უქონლობის გამო კატასტროფიულია. მიმავალ ჯარების ნაწილების მოთხოვნილება დიდია, ტრანსპორტები საკმაო არ არის, საჭიროა სასწრაფო განკარგულება, რათა ბანკი უზრუნველ იქნეს ხურდა ფულით; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ექსცესები.

◆ **ახალქალაქიდან** იტყობინებიან, რომ 21 იანვრის სხდომაზე ახალქალაქის სამაზრო ალმ. კომიტეტმა, გაუწია რა ანგარიში მაზრის ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ და სამეურნეო-ეკონომიურ პირობებს და რომ მცხოვრებთა 76 პროცენტს სომხები შეადგენენ, დაადგინა შეუერთდეს ახალქალაქის მაზრა ადმინისტრაციულათ ალექსანდროპოლის მაზრას. კომიტეტი სურვილს გამოსთქვამს აგრეთვე შემოღებულ იქნას ახალქალაქის მაზრაში ერობა ამიერ კავკასიის სხვა ადგილებთან ერთად.

◆ **სად. არარატიდან** იტყობინებიან: ეხლახან მოვიდა ცნობები, რომ სადგურზე თავდასხმას აპირებენ ქურთების ბრბოები 6.000 კაცამდე. საღამოთი უკვე იყო ამის ნიშნები. გთხოვთ დახმარებას.

◆ **ულუხანლუდან** კომისარიატს ატყობინებენ, რომ ქურთების დიდძალი ბრბოები თავს დასხმიან არაზდაიანს. სახლები გაძარცვეს და გადასწვეს. ემუქრებიან საქარხნო რაიონსაც, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები იცლებენ. იღუპება დიდძალი ქონება. დახმარება არსაიდან არ არის.

კრებები და მიტინგები.

— დღეს, 24 იანვარს, საღამოს 6 საათზე, კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონის კოლექტივის წევრთა არაჩვეულებრივი კრება.

პროვინციის ქრონიკა

ბათუმი. ბათუმის პროლეტარიატის ბუდე არის პირველი რაიონი, რომელიც შესდგება ბარცხანა-გოროდოკის და რკინის გზის მუშებისაგან. ეს ის რაიონი არის, სადაც პირველათ აღიმართა წითელი დროშა თვითმპყრობელობასთან საბრძოლველათ. რევოლიუციის დასაცავათ აქ შესდგა წითელი გვარდია. წითელ გვარდიელებმა აირჩია შტაბი, რომელშიაც შედიან გვარდიელები: ემელიანე წულაძე, სამსონ ნიკურაძე, არტემ ჩემია, პორფილე გიორგაძე და ივანე ვიხლიაევი. კომანდირათ ამხ. ნიკოლაიშვილი. შტაბმა უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა გვარდიას. 16 იანვარს გვარდია მწყობრათ წითელი დროშებით, რომელსაც ამშვენებდა მარქსის სურათი და რევოლიუციონური სიმღერით გაემართა მუშათა დეპუტატების საბჭოში. მისვლისთანავე გვარდიას მიესალმა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ანჯაფარიძე., ამხ. ავთონ წულაძე. გვარდიელთა შტაბის სახელით საბჭოს მიესალმა ამხ. ემელიანე წულაძე, რომელმაც მგრძნობიარე სიტყვაში სთქვა, რომ ჩვენ, მუშები, ვფიცავთ საბჭოს წინაშე, რომ უკანასკნელს სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ კონტრრევოლიუციის წინააღმდეგო. ამ სიტყვებზე გაისმა „გაუმარჯოს სოც.-დემოკრატიას და სოციალიზმსო“.

წითელ გვარდიელების სახელით სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ამხ. გერასიმე კუხიანიძემ, რომელიც ამბობს, რომ დღეს თუ ჩვენ ცოტანი ვართ, ხვალ სხვა მუშები მოგვემატება და ჯარის კაცებთან ერთად ვიბრძოლებთ რევოლიუციის დასაცავათო.

შემდეგ გვარდია ბრუნდება უკან მწყობრათ თავის რაიონში. საჭიროა სხვა რაიონის მუშებიც ჩაეწერონ წითელ გვარდიაში და მით მოიხადონ თავისი მოვალეობა რევოლიუციის წინაშე.

ფოთი. ამ დღეებში ზღვით მოვიდა 86 ათასი ფუთი ხორბალი. საჭიროა სხვადასხვა სურსათის გამოსაზიდათ 228 ვაგონი. ამას გარდა ნავთსადგურში 750 ვაგონის დასატვირთავი სხვადასხვა სურსათია.

სად. ხანაიჩი. 14 იანვარს ყარსიდან მომავალ ეშელონიდან მოულოდნელათ გადმოვარდა ჯარისკაცი სოხუმის ოლქის სოფელ ჩუბუხლის მცხოვრები სტეფანე აბლედია, რომელიც იქვე გარდაიცვალა. მიცვალებული დაასაფლავეს სად. ხანაიჩის სასაფლაოზე.

მ[illegible] აღმოაჩნდა ფულათ 60 მანეთი და [illegible] ნივთები, რომელიც ინახება სანაინის რაიონის კომისართან ამხ. მ. დ. ხვადაგიანთან. ჭირისუფლებს შეუძლიათ ყოველივე გაიგონ დაწვრილებით არ. ივ. ინწკირველთან სად. ხანაიჩში.

ამიერ-კავკასიის სეიმი

ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელ კრების გარეკამ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას კვლავ დაუსვა საკითხი ადგილობრივ მთავრობის მოწყობის შესახებ. ჯერ კიდევ 12 ნოემბრის თათბირმა, რომელმაც შექმნა ამიერ-კავკასიის კომისარიატი, დაადგინა, თუ შეუძლებელი გახდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა, უნდა მოწვეულ იქნას ამიერ-კავკასიის დეპუტატებისაგან ადგილობრივი სეიმი, რომელიც გაუძღვება ადგილობრივ საქმეებსო.

ხსენებულ თათბირისა და კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის დადგენილების თანახმად, 22 იანვარს შესდგა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნათ არჩეულ დეპუტატების კრება. ამიერ-კავკასიის კომისარიატი დაესწრო მთელის შემადგენლობით. ბევრი დაესწრო აგრეთვე გარეშე პირებიც და რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენლები. გამოცხადდა 25-ამდე დეპუტატი: მენშევიკები, სოციალისტ-რევოლიუციონერები, დაშნაკელები და მუსულმანები.

კრება გახსნა ამიერ-კავკასიის კომისარიატის სახელით კომისარიატის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა, რომელმაც შემდეგი სიტყვით მიმართა დეპუტატებს: ამიერ-კავკასიის კომისარიატის დავალებით ნებას მივცემ ჩემს თავს მივესალმო სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების ამიერ-კავკასიის დეპუტატებს. შემდეგ ორატორი ეხება იმ პირობებს, რომლებმაც გამოიწვია ამიერ-კავკასიის კომისარიატის შექმნა, რომელმაც დღეს ფორმალურ მდგომარეობის გამო თავის ადგილი უნდა დაუთმოს დეპუტატების კრებასო. დამფუძნებელ კრების გარეკის შემდეგ— განაგრძობს ორატორი—ამიერ-კავკასიის კომისარიატს პოლიტიკურ მოვალეობათ მიაჩნდა თავისი ძალა-უფლება გადაეცა დეპუტატების კრებისათვის. მეტია იმ მდგომარეობის შესახებ ლაპარაკი, რომელშიაც ჩვენ დღეს ვიმყოფებით. რევოლიუცია უკვე მოექცა კატასტროფიულ სფეროში და თუ ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ არ შეაერთა თავის რაზმები, რევოლიუციას საფრთხე არ აცდება. ამიერ-კავკასიის კომისარიატს სწამს, რომ ამიერ კავკასიის დემოკრატია ახლაც არ ულალატებს ძველ ნაცად გზას და ახლაც მონახავს გამოსავალს მძიმე მდგომარეობიდან. ანარქია, ომი, ფინანსიური და სასურსათო არევ-დარევა და სხ.—ქმნის საშინელ სურათს. მაგრამ ამიერ კავკასიის კომისარიატი დარწმუნებულია, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლებით არჩეული, ხალხის ნდობით აღჭურვილი დეპუტატები შესძლებენ ყველა ამ საჭირბოროტო კითხვებზე გასცენ ღირსეული პასუხი. ჩვენ კი, ამიერ კავკასიის კომისარიატის წევრები, ჩვენს თანამდებობაზე ვიღებთ ხელს და ყველა ჩვენგანი დაუბრუნდება თავის ორგანიზაციებს, თავის პარტიას და იქ განაგრძობს მუშაობას. გამოვსთქვამთ სურვილს, რომ ამიერ კავკასია შესძლებს გამონახოს გზა, რომელიც საჭიროა რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ. კომისარიატის მოქმედების ანგარიშს ჩავაბარებთ მაშინ, როცა საბოლოოთ გამოირკვევა კრების კონსტრუქცია. (ტაში).

რიგი მიდგა პრეზიდიუმის არჩევაზე ნოე ჟორდანია. მენშევიკების ფრაქცია თავმჯდომარეთ ასახელებს ამხ. კარლო ჩხეიძეს.

დანარჩენი ფრაქციები უერთდებიან ამ წინადადებას. კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა კარლო ჩხეიძე. მის არჩევამ მქუხარე ოვაციები და ხანგრძლივი ტაშისცემა გამოიწვია დამსწრეთა შორის.

კ. ჩხეიძე. დამფუძნებელ კრების მოქალაქე წევრებო! მძიმე ტვირთი დამაკისრეთ თქვენ მე. თავმჯდომარეობა ჩემთვის ახალი არ არის. როგორც თქვენ მოგეხსენებათ, დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც მე გთავმჯდომარეობდი სხვა დაწესებულებაში. მაგრამ აღმოჩნდენ ადამიანები, რომლებმაც დაინახეს, რომ თავმჯდომარის ტვირთს ისინი უფრო კარგათ ატარებდენ. ახლა არ არის დრო გავსაჯოთ, შესძლეს თუ არა ამ ადამიანებმა ეს. მაგრამ დღეს, როცა ყველაფერს ეკარგება ღირებულება, დამფუძნებელ კრებასაც, სიტყვის თავისუფლებასა, სინდისის თავისუფლებასა და რევოლიუციის სხვა მონაპოვარსაც, მე ახლაც შეიძლება მეწვიოს ისეთივე ბედი. მომეცით ნება დარწმუნებული ვიყო, რომ ამ ჟამათ ეს ასე არ მოხდება.

ნოე რამიშვილის წინადადებით მდივნათ აირჩიეს კანტებიროვი (ს.-რ.), ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატებს შორის

დღის წესრიგის შედგენის დროს მიღებულ იქნა ნოე ჟორდანიას წინადადება, რომლის თანახმათ ჯერ უნდა მოხდეს კრების კონსტრუქცია, ე. ი. უნდა გამოირკვეს მისი უფლებები.

ამ საკითხის შესახებ სიტყვა ეძლევა ნოე ჟორდანიას.

ამ ძირითად საკითხის შესახებ—ამბობს ორატორი—მე უნდა განვაცხადო შემდეგი: ჩვენ ყველა არჩეული ვართ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების დეპუტატათ. ცხადია, ჩვენ გვაგზავნიდენ არა აქ, თეთრ დარბაზში, არამედ—თავრიდის სასახლის დარბაზში. ჩვენ გადავსწყვიტეთ კიდეც იქ წასვლა, მაგრამ გამგზავრების წინ დღით გვაცნობეს, დამფუძნებელი კრება გარეკესო. ამის შემდეგ პეტროგრადში წასვლას არავითარი პოლიტიკური აზრი აღარ ექნებოდა. ჩვენ გვფიქრობდით, რომ დამფუძნებელი კრება იქნებოდა ცენტრი, რომელიც გააერთიანებდა მთელ რუსეთს, ყველა პარტიებს, ყველა ერებს. გვფიქრობდით, რომ ეს დამფუძნებელი კრება მოგვცემდა მტკიცე პოლიტიკურ წყობილებას და გადასჭრიდა ყველა ძირითად საკითხებს, მაგრამ, რადგანაც ეს ცენტრი აღარ შეიქმნა, ჩვენ იძულებული შევიქენით საკუთარი ძალღონით უზრუნველ გვეყო ჩვენი არსებობა. ამასთანავე ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოსაწვევათ. მაგრამ სანამ რუსეთი გაერთიანდებოდეს და შესდგებოდეს ერთი დამფუძნებელი კრება, ჩვენ ბევრი ადგილობრივი საჭიროებები გვაქვს, რომელიც ასე—თუ ისე უნდა მოწესრიგდეს. ამიტომ ჩვენ იძულებული შევიქენით შევკრებილიყავით. მაშასადამე, ის უფლებები, რომლებითაც ჩვენ ვართ აღჭურვილი, გამომდინარეობენ თვით რეალურ მდგომარეობიდან. ჩვენი კრების კომპეტენციის საკითხი შეკავშირებულია იმ მდგომარეობასთან, რომელშიაც ჩვენ და რუსეთი ჩავარდით. როცა შეიქმნება ნორმალური პირობები—ჩვენ ამ უფლებებს მივიღებთ ცენტრიდან. მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის უფლების ეს წყარო და ჩვენ თვითონ ვაძლევთ ჩვენს თავს უფლებას. მოვაწესრიგოთ ადგილობრივი საკითხები. შეიძლება გვითხრან, რომ ჩვენ ცოტანი ვართ, 20—25 კაცს არ შეუძლია მთელი მხარის საკითხები გადასჭრასო. მე ვფიქრობ, რომ საჭიროა კრების შემადგენლობის გადიდება. როგორც იცით, არჩევნები პროპორციონალური იყო. 60 ათას ამრჩეველზე მოდის 1 დეპუტატი. თუ შევამცირებთ ნორმას, პროპორცია არ დაირღვევა, დეპუტატების რიცხვი კი გადიდდება. მაშინ საზოგადოების ყველა ნაწილებთან გვექნება კავშირი. ჩვენ ვფიქრობთ, 60 ათასის მაგიერათ ავიღოთ ნორმა 20 ათასი. მაშინ დეპუტატების რიცხვი სამჯერ გადიდდება. მაშინ ჩვენ მოვიწვევთ ამ დეპუტატების კრებას, მაშინ მოხდება ამ კრების ოფიციალურათ გახსნა და ჩვენ ვიძლევით წინადადებას ამ კრებას ეწოდოს ამიერ კავკასიის სეიმი. ეს სეიმი იარსებებს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. მაგრამ, შემდეგაც მე ვფიქრობ, ეს სეიმი დარჩება, ვინაიდან დამფუძნებელ კრებამ უკვე გამოაცხადა რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკათ. მაშასადამე, განაპირა ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ თავისი ორგანოები. მთავრობის მოწყობის საკითხი უნდა გადაეცეს ამ სეიმს. მანამდი კი, დავსტოვოთ ისევ ამიერ კავკასიის კომისარიატი. მაშინ მთავრობას ექნება მეტი ავტორიტეტი და მეტი ძალა. (ხანგრძლივი ტაში).

სხვა ფრაქციების მოთხოვნით სხდომა შესწყდა მეორე დღის 1 საათამდე, რომ შეძლება მიეცეს მათ შეიმუშავონ ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი.

ვენე ალათიშვილი.

ტფ. ქალაქის საბჭო

(22 იანვრის სხდომა).

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. სხდომას დაესწრო კარლო ჩხეიძე. თავმჯდომარემ განუცხადა ხმოსნებს, რომ თანახმათ ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, იგი შეეცადა დაეჭირა კავშირი რუსეთის მნიშვნელოვან ცენტრებთან, მაგრამ დამფუძნებელ კრების შესახებ ვერაფერი გაიგო იმის გარდა, რაც საერთოდ იციან თფილისში. დანამდვილებით გამოირკვა მხოლოდ შინგარიოვისა და კოკოშკინის მოკვლა. თავმჯდომარის წინადადებით საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა მათ ხსოვნას. შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, აქ არის რუსეთის რევოლიუციის ბელადი, მესამე და მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი, თფილისის საპატიო მოქალაქე კარლო ჩხეიძეო და უსურვა მას კიდევ მრავალ წლების განმავლობაში ემსახუროს პროლეტარიატისა და მთელი დემოკრატიის საქმეს. ჩხეიძეს მქუხარე ოვაციები გაუმართეს.

საბჭომ დაადგინა ქალაქთა კავშირის თფილისის კომიტეტის საქმეები გადაეცეს ქალაქის გამგეობას. უნდა გაუქმდეს დაჭრილთა თფილისის კომიტეტი, მისი ლაზარეთები უნდა გადავიდეს ქალაქის გამგეობის ხელში, ამიტომ ქალაქის გამგეობასთან არსდება საქალაქო სანიტარული ბიურო. დახმარების დარიგების საქმის მზრუნველებათ დაამტკიცეს ჯიმშეროვი, ოგანესიანი, მასლენიკოვი.

ქალაქის გამგეობის დადგენილების თანახმათ სასადილოების, რესტორანების, სარდაფების და სხ. პატრონებმა უნდა გადაიხადონ 556 ათასი მან. სატრაქტირო გადასახადი. ამის გამო სასადილოებისა და რესტორან-სარდაფების პატრონებმა გაფიცვაც კი გამოაცხადეს. ახლა განცხადება შემოიტანეს ქალაქის გამგეობაში და მოითხოვდენ ამ გადასახადის შემცირებას, მაგრამ საბჭომ არ შეიწყნარა მათი შუამდგომლობა და დასტოვა გადასახადის ისევ ძველი რაოდენობა.

საბჭომ დაამტკიცა ქალაქის გამგეობის მოხსენება სამხედრო უწყებისაგან 150 ათას მან. მოთხოვნის შესახებ იმ ხარჯების დასაფარავათ, რომელიც გამოიწვია ქალაქში ჯარების დაბინავებამ. საბჭომ მოისმინა უძრავ ქონებაზე გადასახადის დაწესების შესახებ მ. სმირნოვის მოხსენება და დაადგინა 20 პროცენტით გაადიდოს ეს გადასახადი. დასასრულ, ქალაქის თავის მოხსენების თანახმად საბჭომ დაადგინა მოხდეს ხელახალი არჩევნები ომისაგან დაზარალებულ პირთა დამხმარე კომიტეტის წევრებისა.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ სხდომა დახურულათ გამოაცხადა, ვინაიდან დარბაზში აღარ იყო საკმაო რიცხვი ხმოსნებისა.

ქუთ. გუბ. სახალხო მასწ. საყურადღებოთ

თანახმათ დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ამა წლის 17 იანვრის დადგენილებისა ჩვენ 18 იანვარს ვინახულეთ კავკასიის საოლქო სამოსწავლო კომისარიატი და თფილისის გუბერნიის სახ. მასწ—თა კავშირის თავმჯდომარე ვ. ბურჯანაძე და ჩამოვიტანეთ შემდეგი ცნობები:

1) 210 მ. ეძლევა სახალხო მასწავლებელთ 1917 წ. პირველ ოქტომბრიდან. ამისათვის საჭირო კრედიტის გახსნის ქაღალდზე ფინანსის კომისარს ხელი მოუწერია 15 იანვარს, ხოლო სახაზინო პალატებში შესაფერი განკარგულებები დაუგზავნიათ 16 იანვარს, ამგვარათ ამ მომატებულ ჯამაგირებისათვის კრედიტები უკვე გახსნილია. 2) 210 მან. ეძლევათ, როგორც დაბალი, ისე უმაღლეს დაწყებითი სკოლების მასწავლებელთ.

3) ქუთაისის სახაზინო პალატის განკარგულებაში არის საკმარისი ფულის ნიშნები მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლათ, იმაში დაგვარწმუნა ფინანსის კომისარმა კარჩიკიანმა.

4) 400 მან. ერთდროული დახმარება ეძლევა სახელმწიფო მოსამსახურეთ, რომელთა ჯამაგირი არ ყოფილა გადიდებული ამ ომიანობის დროს. სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობა, თანახმათ კარჩიკიანის განმარტებისა, ჯამაგირის მხრით გაუმჯობესებულია. პირველ ოქტომბრიდან ეძლევათ 210 მან., რომელსაც ამ დღეებში მიიღებენ. მაშასადამე, სახალხო მასწავლებელთ არ შეუძლიათ მიიღონ 400 მ. ერთდროულად, თანახმად ამისთვის გამოცემულ კანონისა, მით უმეტეს, რომ მათ განგებ, პირველ ოქტომბრიდან მიეცა გადიდებული ჯამაგირი, რომლის განსხვავება 420 მან. შეადგენს (210 მ.×3—70 მ.×3). ყოველ შემთხვევაში, საჭიროა კანონმდებლობითი გზით გადაწყდეს, რომ ამხ. მასწავლებლებზედაც გავრცელდეს კანონი 400 მ. ერთდროული დამატების შესახებ. საოლქო კომისარიატის მიერ უკვე შეტანილია შესაფერი შუამდგომლობა ამიერ კავკასიის კომისარიატში. ჩვენ საგანგებოთ ვინახულეთ კომისარიატის თავმჯდომარე ევ. გეგეჭკორი, მესხიშვილი, კარჩიკიანი და სხვ., რომლებმაც, გარდა კარჩიკიანისა, სიტყვა მოგვცეს, რომ გარჩევის დროს ისინი სავსებით მხარს დაუჭერენ სახალხო მასწავლებელთა დაკმაყოფილებას 400 მან. ეს საკითხი ახლო ხანში გაირჩევა;

5) მასწავლებელთ, თანახმა 5 აგვისტოს კანონისა, წასულის პირველი აპრილიდან პირველ ოქტომბრამდე მიეცემათ 120 მან. (თვიურად 20 მ.) შესაფერი შუამდგომლობა ქუთაისიდან გაგზავნილია.

6) ყოფილ სამრევლო სკოლების მასწავლებელთ მიეცემა დანაკლისი ჯამაგირები და სხ. მხოლოდ საჭიროა შესაფერი მასალების გაგზავნა ოლქში (რაც ქუთ. გუბ. დირექტორს უკვე გაუგზავნია) სამრევლო სკოლების გადმობარება მომხდარა ახლახან და ყოვლად შეუძლებელი ყოფილა ასე ჩქარა ყოველივე დანაკლისების გასწორება.

7) დაგვპირდენ შეძლების დაგვარად ყველა ის მასწავლებელი, ვისაც საზოგადოებისა ან საერობო თანხებიდან ეძლევათ ჯამაგირები, მიეცესთ ასეთი ხაზინიდან. ამისათვის საჭირო მასალა და შუამდგომლობა უკვე გაუგზავნია ქუთ. საგ. სამოსწ. კომისარიატს.

8) ფულის ნიშნების გამოცემას ბევრი ტეხნიკურ დაბრკოლებები ელობება. თუმცა, როგორც გადმოგვცეს, ბეჭდვას უკვე შეუდგომიან. მაგრამ ხმარებაში შემოვა არა უადრეს 2 კვირისა.

დასავლეთ საქ. როგორც თფილისის გუბ. მასწ—თა კავშირის თავმჯდომარემ ვ. ბურჯანაძემ დაგვარწმუნა, ამავე გუბერნიის მასწავლებლები არ იდიცებიან 21 იანვრიდან დაკმაყოფილდებიან 210 მან. ეს არის მხოლოდ სიტყვიერი გადმოცემა.

ქუთაისში ჩამოველით 19 იანვარს და ვრცელი მოხსენება გაუკეთეთ კავშირის გამგეობასა და საგუბერ. სამასწ. კომისარიატს.

პატივისცემით დელეგატები

ვ. კობულია და ვ. გელოვანი.

ამიერ კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგ. 1-ლი კონფერენცია

19 იანვარს თფილისში დაამთავრა მუშაობა ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების პირველმა კონფერენციამ. კონფერენციის მოწვევის ინიციატივა ეკუთვნის თფილისის ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციის კომიტეტს. კონფერენციას დაესწრენ დელეგატები: თფილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ხაშურიდან, ოზურგეთიდან, ყვირილიდან, ლანჩხუთიდან, ზახვიდან, ჩოხატაურიდან, სუფსიდან, ჭიათურიდან, დაშის ღელედან, ლიხაურიდან, ხიდისთავიდან, სამტრედიიდან, ხონიდან—სულ 39 დელეგატი. ყველა დელეგატები თითქმის ქართველები იყვნენ. სხვადასხვა მიზეზების გამო ბევრ ორგანიზაციებს კონფერენციაზე წარმომადგენელი არ ყოლებიათ.

კონფერენცია გახსნა 17 იანვარს თფ. ახ. მარ. კომიტეტის სახელით ამხ. მ. ხუნდაძემ, რომელიც მოკლე სიტყვით მიესალმა კონფერენციას და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა. პრეზიდიუმში კონფერენციამ აირჩია: ამხ. მ. ხუნდაძე (თავმჯდომარეთ), ს. ტაბიძე (თავ. ამხანაგათ), მ. ჩაჩუა და ბერიშვილი (მდივნებათ). რათა დრო არ დაეკარგა, კონფერენცია იმავ დღეს შეუდგა [illegible] მუშაობას. ერთხმათ დამტკიცებულ იქნა დღის შემდეგი წესრიგი: მოხსენებები ადგილებიდან; მიმდინარე მომენტი; მობილიზაცია და ჩვენი ორგანიზაცია; ორგანიზაცია: ა) ახალგაზრდა მარქსისტთა თუ მოწაფეთა ორგანიზაცია? ბ) ფრაქციული, თუ გაერთიანებული ორგანიზაცია? წესდების გამომუშავება; მეცადინეობის გეგმა; ცენტრალური ორგანო; ფინანსები და არჩევნები.

ახალგაზრდულის ენერგიით და ენთუზიაზმით შეუდგა კონფერენცია დღის წესრიგის განხილვას და იქ დასმულ საკითხების გადაწყვეტაში მან გამოააშკარავა, რომ ახალგაზრდობა დიდათ დაინტერესებულია მუშათა კლასის, დემოკრატიის ინტერესებით, რომ მას სულითა და გულით სწყურია მეგობრული ხელი გაუწოდოს საზოგადოების ყველაზე უფრო დაბეჩავებულ კლასს—მუშათა მასსას და სამისო ენერგია და ცხოვრების ალღო ამლები ინსტიკტიც მოეპოვება. იგი სავსებით გრძნობს, რომ მომავალის

შვილია, რომ იგი უნდა დაუდგეს დარაჯათ მუშათა კლასის ინტერესებს. იგი გრძნობს, რომ მან უნდა „შექმნას მისი მყობადი“, მან „უნდა მისცეს მომავალი ხალხს“...

პროვინციელ დელეგატების მოხსენებებიდან ირკვევა, რომ ყველგან ახალგაზრდობა დიდის ინტერესით ეკიდება ორგანიზაციის შექმნას. რომ სახეში არ მივიღოთ ის ორგანიზაციები, საიდანაც კონფერენციაზე წარმომადგენლები ვერ დაესწრენ, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა რიცხვი ამ ჟამად 2.300-დის აღწევს. მაგრამ თითქმის ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელნი ერთხმათ აღიარებენ, რომ ორგანიზაციებში ვერ არის მეცადინეობა სათანადო ნიადაგზე დაყენებული, რის მიზეზათაც თითქმის ერთხმათ ასახელებენ ხელმძღვანელ-ლექტორების უყოლობას.

კონფერენციამ მოისმინა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ და ერთის წინააღმდეგ (5 თავს იკავებს) მიიღო რეზოლიუცია:

მობილიზაციის შესახებ კონფერენცია იღებს შემდეგ რეზოლიუციას: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ თავდაცვისათვის აუცილებლათ საჭიროა ფიზიკური ძალა, რომელიც დღეს შეიძლება შესდგეს მხოლოდ ჯარისაგან, რომ ს. დ. მ. პ. თათბირმა უკვე გადასწყვიტა ამ მიზნით გაწვეულ იქნან ჯარში ახალგაზრდები 19—25 წლამდე,—კონფერენცია ავალებს წევრებს ყოველი ძალღონით ხელი შეუწყონ ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას. ჯარში გაწვეულ ამხანაგებმა არ უნდა აიღონ ხელი ორგანიზაციაში მუშაობაზე და უნდა ეწეოდენ ჯარისკაცთა შორის პროპაგანდა-აგიტაციას რევოლიუციონურ წესრიგის დასაცავათ და მარქსიზმის იდეათა გასავრცელებლათ.

დიდი და ცხარე კამათი გამოიწვია ფრაქციულმა საკითხმა და საკითხმა იმის შესახებ, თუ რა მიმართულებას უნდა ადგეს ორგანიზაციის ცენტრალური ორგანო „ახალი კვალი“. ბოლოს კონფერენციას გამოაქვს შემდეგი დადგენილებები: ნუ დაერქმევა ორგანიზაციას ფრაქციული სახელი მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაცია ფაქტიურათ მენშევიკურია, რათა ამით საშუალება მიეცეს ამხ. ბოლშევიკებს, თუ კი მოისურვებენ, იმუშაონ ჩვენს ორგანიზაციაში; ჟურნალის მიმართულების შესახებ კონფერენცია იღებს შემდეგ წინადადებას: „კონფერენციას შეუძლებლათ მიაჩნია ცენტრალურ ორგანოში იბეჭდებოდეს ისეთი წერილები, რომლებიც ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მთავარ-პოლიტიკურ ხაზს“... ცენტრ. ორგანოს შესახებ კონფერენცია ადგენს: აღიარებულ იქნას ასეთათ ჟურნალი „ახალი კვალი“ და გამოსთქვამს სურვილს, ახლო მომავალში გამოიცეს ორგანო რუსულ ენაზედაც. საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლათ კონფერენცია ადგენს: შემდეგს ერთდროული თანხა 3000 მანეთი, რასაც შეძლების მიხედვით იხდიან ორგანიზაციები; იხადოს ყველა ორგანიზაციებმა ცენტრალურ კომიტეტის სასარგებლოთ სისტემატიურათ შემოსავლის 25 პროც.; დაიხუროს პროვინციელი ორგანოები, და მათი საგამომცემლო თანხა და აგრეთვე ქაღალდი გადაეცეს ცენტრალურ კომიტეტს ორგანოს სასარგებლოთ.

დასასრულ კონფერენცია ირჩევს ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტს და საკანტროლო კომისიას, ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნენ: (9 კაცი) დ. ორაგველიძე, გ. მგელაძე, მ. გოგიბერიძე, ილ. ჯუღელი, ვ. ნიკურაძე, ბ. რამიშვილი, მ. ხუნდაძე, ს. მიხელიძე და მ. ჩაჩუა; კანდიდატებათ: ჭყონია, ე. კალანდარიშვილი და დ. ლომთაძე. საკანტროლო კომისიაში: მაშკევიჩი, გაბილაია, თევზაძე, მ. წივწივაძე და დუდუჩავა.

სხალგაზრდა მარქსისტთა პირველ კონფერენციით საფუძველი ჩაეყარა ფრიად მნიშვნელოვან დაწყებულებას. ახალგაზრდა მშრომელი ინტელიგენცია მჭიდრო კავშირში შედის ახალგაზრდა მუშებთან ერთად, რათა საერთო ძალით შეუპოვრათ გასწიონ მუშათა კლასის დიად მიზნისაკენ. დარწმუნებული ვართ, რომ ეს იდეა ღრმათ გაიდგამს ფესვებს ახალგაზრდა თაობის სულსა და გულში და მრავლათ შემოკრბება ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის გარშემო. საჭიროა, უფროს ამხანაგებმა დასტოვონ აქამდის არსებული გულგრილობა, რაზედაც ასე სჩიოდენ ერთხმათ პროვინციელი დელეგატები და სათანადო ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდათა წმიდა მასწრაფებასაც.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: თითო ოროლას გამოკლებით ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქართველებიდან შესდგება. ეს რასაკვირველია, ნაკლია; მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ორგანიზაცია ენერგიულ მუშაობას გასწევს არაქართველებშიაც და იდეით ინტერნაციონალისტი, ფიზიკურ შემადგენლობითაც ინტერნაციონალისტი გახდება.

მ. ჩ—ა.

შეიარაღდით

ამხანაგებო და მოქალაქენო!

ჩვენმა პარტიამ და ამიერ-კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების საოლქო ცენტრმა უკვე გადასდგა გადაჭრილი ნაბიჯი რევოლიუციის დამცველ ჯარის შესადგენათ. გადასწყდა ექვსი თვის ვადით სამსახურში გაიწვიონ ჯანმრთელი ახალგაზრდები ცხრამეტი წლიდან ოცდა ხუთ წლამდე. არავის შეღავათი არ მიეცემა, გარდა ოჯახის მარჩენალთა და ზოგიერთ, ყველასათვის საჭირო სამუშაოზე მომუშავეთა.

რევოლიუცია და ქვეყანა განსაცდელშია. შიგნით ყაჩაღებმა წამოყვეს თავი და გარეშე მტრისაგანაც არა ვართ უზრუნველყოფილი.

მტერს დახვედრა უნდა. ჩვენ დავანგრიეთ ძველი წყობილება, მაგრამ ახალ ცხოვრების შენება ჯერაც არ დათავებულა. ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. საჭიროა მთელი ხალხის შეიარაღება, საყოველთაო მილიციის შედგენა. მაგრამ დღესვე, სახელდახელოთ ამ ძნელი საქმის განხორციელება მოუხერხებელია. ამიტომ მედგრათ უნდა დავუჭიროთ მხარი ჯარში გაწვევას და მილიციისთვის მზადებასაც შევუდგეთ.

ემზადეთ და თქვენი კანონიერ მთავრობის პირველი მოწოდებაზე გამოცხადდით თქვენი მოვალეობის ასასრულებლათ. არც ერთი კაცი, ვინც კი მოწვეული იქნება, სახლში არ უნდა დარჩეს.

ასეთია თქვენი რევოლიუციონური მოვალეობა.

ჩვენებური ბოლშევიკები სოფლად

(წერილი ქიათურიდან).

ყველამ უწყის, რომ ბოლშევიკები ჩვენში საზოგადოთ ცოტანი არიან. კიდევ უფრო ცოტანი არიან ისინი სოფლათ. ეს გარემოება, თითო ოროლათ პროვინციაში გაფანტულ ლენინელებს გულს უკლავდა და მომხრეების შესაძენათ ესენი ათას ჭორებს აცხობდენ ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანიზაციებისა და მათი სულის ჩამდგმელების წინააღმდეგ. მაგრამ ამაოთ: მათ ანკესზე არავინ ეგებოდა, ხალხი ამ უსაქმურებს იცნობდა და მათ არ მიყვებოდენ. სამაგიეროთ ამ ბოლო დროს მათ მონახეს ნიადაგი პროვოკაციისათვის.

ყველამ იცის ისტორია თოფით დაბრუნებულ ჯარისკაცების შესახებ. სოფლათ ყაჩაღობის გავრცელების თავიდან ასაცილებლათ ერთი მხრით და თოფების დაკარგვისა და ტყვიების უბრალოთ დახარჯვის შიშით ადგილობრივმა საბჭოებმა გამვლელ ჯარისკაცებს თოფები ჩამოართვეს. უმრავლესობა ჯარისკაცებისა მადლობით შეხვდა, მაგრამ იყვნენ უკმაყოფილონიც. აი ამით ისარგებლეს ბოლშევიკებმა და შეუდგნენ ჯარისკაცებში აგიტაციას და პროვოკაციას. ერთის მხრით არცხვენდენ ჯარისკაცებს —რა ვაჟკაცები ხართ „ვოლნებმა“ იაიარაღი აგყარესო—და მეორეს სხრით არწმუნებდენ „თქვენი თოფებით შავი რაზმები დგება ბურჟუებისა და მემამულეების დასაცავათ“-ო. რომ უფრო დაეჯერებიათ გულუბრყვილონი, არწმუნებდენ მათ, რომ ყველა ის, ვისაც ისინი წარსულში იცნობენ, როგორც თავდადებულ რევოლიუციონერებს, ბურჟუებისგან მოყიდული არიანო და ზოგს სახლები უყიდეს ქუთაისსა და თფილისში და ზოგს რა.

7 იანვარს ასეთი ჯარისკაცებისაგან გაიმართა კრებები საჩხერესა და ქიათურაში, სადაც ბოლშევიკების დემაგოგიით და ყოფილ პოლიციელების მეთაურობით (რომლებიც დღეს ჯარისკაცებია) ორივე ადგილზე მიიღეს რეზოლიუცია ჩამორთმეულ თოფების უკან დაბრუნების შესახებ. სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ საბჭოს წარმომადგენლები დასთანხმდენ თოფების მიცემაზე, მაგრამ ამან უფრო გაათამამა უსაქმური ბოლშევიკები და ყოფილი პოლიციელების კავშირი. ლენინის „მეგობარმა“ ალ. ვაშაძემ და ყოფილმა პოლიციელებმა ერთხმად გადასწყვიტეს ჯარისკაცთაგან ცალკე საბჭოს დაარსება და ძალა უფლების ხელში აღება. პირველი მათი მიზანი კონტრ-რევოლიუციონერების—მუშათა გვარდიისა და მილიციონერების იარაღის ჩამორთმევა. ამ მიზნის განსახორციელებლათ მოიწვიეს მიტინგები ორივე ადგილზე 14 იანვრისთვის.

სამწუხარო მოვლენის თავიდან ასაცილებლათ ქ. მ. დ. საბჭომ მიიღო ყოველგვარი ზომები. პირველათ ყოვლისა მოიწვია და გაგზავნა ჯარისკაცებში სიმართლის აღსადგენათ შეგნებული ჯარის კაცები, მოიწვია ქუთაისის მ. და ჯ. კ. საბჭოების დელეგატები და ბოლოს შექმნა თავდაცვის კომიტეტი ყველა სოციალისტური პარტიებისა და თავის წარმომადგენლებისაგან, რომელთაც გადასცა ყოველნაირი შეიარაღებული ძალა. ადგილობრივ გვარდიის გასაძლიერებლათ მოიწვია ყვირილიდან იქაური გვარდიაც.

დადგა 14 იანვარი, ორივე ადგილზე ჯარისკაცებმა დილიდანვე დაიწყეს შეკრება. საჩხერეში რამდენიმე ათასი გარეშენიც იყო და ყველა რაღაცას მოელოდა. ზოგ სოფლებში პირდაპირ ურჩევდენ თურმე წამოსვლას: „საშოვარი იქნებაო“.

საჩხერეში ადგილობრივმა ორგანიზაციის წევრებმა გამოიტანეს დროშა და გვარდიელებთან ერთათ გამართეს მანიფესტაცია, რასაც მოყვა გრანდიოზული მიტინგი ერთათ ჯარისკაცებისა და „ვოლნებისაგან“. პროვოკატორებმა ერთხანს უყვირეს ჯარისკაცებს—წამოდით ცალკე, „ვოლნებთან“ რა საქმე გვაქვსო, მაგრამ რაკი არავინ გაუგონათ თითონაც დარჩნენ. მიტინგზე, როგორც ადგილობრივმა ამხანაგებმა, აგრეთვე შეგნებულმა ჯარისკაცებმა დაუმტკიცეს ხალხს, რომ პროვოკატორების მიზანია ხალხის გაყოფა ფარაჯიანებათ და ახალუხიანებათ, რომ მათი ერთმანეთზე მისევით რეაქცია დააბრუნონ; რომ ეხლა მიწის დეკრეტის ცხოვრებაში გატარებას ამით ხელი შეუშალონ და სხვა. მიტინგმა ნდობა გამოუცხადა ადგილობრივ ორგანიზაციებს, ხოლო ჯარისკაცებმა აირჩიეს კომისია ზოგი წვრილმანი კითხვების ადგილობრივ ორგანიზაციასთან ერთათ მოსაგვარებლათ.

ასევე არ მოხდა ქიათურაში, აქ დილიდანვე ჯარისკაცებმა თავი მოიყარეს ადგილობრივ თეატრში, რაც ალ. ვაშაძისათვის და ყოფილ პოლიციელებისათვის ზრდილობიანათ დაეთმო ვიღაცას. იქ ისინი „ვოლნებს“ არ უშვებდენ, მაგრამ ისინი სცენაზე ავიდენ. მიტინგი ლენინის „მეგობარის“ თავმჯდომარეობით გაიხსნა. საცა მხოლოდ თითონ ლაპარაკობდა. ბოლოს მიაღებია რეზოლიუცია ჯარისკაცთა საბჭოს არჩევის შესახებ, ხოლო „სანამ არჩევნებს მოვახდენდეთ ერთი რეზოლიუციაც მომისმინეთ“-ო და წაიკითხა რეზოლიუცია ლენინის ქება დიდებისა და კავკასიის კომისარიატის ლანძღვა გინებისა და იქვე შეეკითხა: „ხომ თანახმა ხართ ამისა“-ო კრებიდან ისრიალეს „თანახმა ვართ“-ო და ამ ფილოსოფოსმაც ლენინის გამარჯვება და გეგეჭკორის დამარცხებაც გათავებულათ ჩათვალა.

ამის შემდეგ ქიათურის მ. დ. ს. თავმჯდ. ამხანაგმა ზ. გურულმა სიტყვა აიღო. მას მოუნდომეს გაჩუმება. მის წინააღმდეგ სულ რამდენიმე კაცი ყვიროდა, დანარჩენი ჯარისკაცები პირიქით მოითხოვდენ სიჩუმეს. მან თითონ მიმართა კრებას და სთხოვა: „მოვუსმინოთ ბოლომდის, დეე გვიძახოს პროვოკატორები, მოვითმინოთ, გავათავებინოთ“-ო, რაზედაც ზ. გურულმა შემდეგი უთხრა კრებას: „ამხანაგებო! პირიქით, თუ ერთი სიტყვითაც მე კრებას ვუწოდო პროვოკატორებო, მეორე სიტყვა არ მათქმევინოთ. აქვე მომკალით, მაგრამ ზ. გურული თქვენ პროვოკატორებს არ გიწოდებსთ, მან იცის, რომ თქვენ შორის უმრავლესობა ხალხის შვილებია და რომაც მომკლათ საფლავიდანაც ამხანაგს გიწოდებთ უმრავლესობას, მაგრამ ვერ დაგიფიცავთ, რომ თქვენ შორის ბევრია პროვოკატორი, ყოფილი პოლიციელი. მე გავიგე ვინაობა ვინც თქვენი სახელით წარსულ კვირასაც მაჩუქებდა, ის გამოდგა რუსელი გველესიანი, ქუთათური „გოროდოვოი“, რომელსაც არა ერთი და ორი ღამე გაუთევია ჩემ დასაჭერათ სახელითა ნიკოლოზისათა. აი ამათ ვუძახი მე პროვოკატორებს, რომელნიც ცდილობენ თქვენ გამოგყონ ყველას, ვისაც ფარაჯა არ აცვია და ფარაჯა ხომ არც თქვენ დედმამას, არც ძმას, არც ბებიას არ აცვია“-ო.

საათზე მეტი ილაპარაკა ორატორმა, რომლის კრიტიკას ვერ გაუძლო პროვოკატორების ხუხულამ და იმის შიშით, რომ ორატორის ბოლო სიტყვა რეზოლიუცია იქნება, რომელიც გააუქმებს მიღებულ რეზოლიუციასო, დასტოვეს კრება და მოუწოდეს ყველა ჯარისკაცებს გაყოლოდენ, მაგრამ ნახევარიც არ გაყვათ. დარჩენილები შეუერთდენ დამსწრე საზოგადოებას და ზ. გურულის თავმჯდომარეობით განაგრძეს მიტინგი, რის ბოლოს გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: დემოკრატიული მიტინგი, განურჩევლათ პროფესიისა სასტიკ პროტესტს და გულის წყრომას უცხადებს ყველა პროვოკატორთ და მათ ამყოლთ დემოკრატიული ფრონტის დასაშლელ ლოზუნგისათვის, რაც გამოიხატება ჯარისკაცთა სხვა დემოკრატიული ელემენტებიდან გამოყოფაში, მათ ცალკე ორგანიზაციის მოწყობის სურვილში და მის სხვა რევოლიუცონურ ორგანიზაციების დაპირდაპირებაში.

მიტინგი მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც წმინდაა რევოლიუცია, შემოკრბით კავკასიის მ. ჯ.-ქ. და გლ. საბჭოების გარშემო რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლათ.

გაუმარჯოს რევოლიუციას!

ქიათურელი.

P. S. თუ ვის უწყობენ ხელს „ლენინის მეგობრები“ და ვისთან ერთად მუშაობენ ისინი გაიგებთ შემდეგი ფაქტიდან: 13 იანვარს ს. კორბოულში 11 ფარაჯიანი დაეცა ვინტოვკებით გოგატიშვილს, რომელმაც ნაგანით დასჭრა სამი მათგანი. ერთი იქვე მოკვდა, სარიკამიშის სანიტარი, ხოლო დაჭრილი აღმოჩნდა ჯარისკაცი ხახიშვილი, რომელმაც მათი წყალობით უკან მიიღო ჩამორთმეული თოფი 7 იანვარს. ვ.

მუშათა წერილები

რევოლიუციას სამი უმთავრესი ნაბიჯი აქვს—ქურციკის ნაბიჯი, კიბოს და სწორ მოაზროვნე ადამიანის ნაბიჯი.

პირველი რევოლიუციისათვის სავნებიოა, საძალებელოა. ასეთი ნაბიჯით იოლია ფეხის წაკვრა.

მეორე ნაბიჯი რევოლიუციის ჩამორჩენაა დემოკრატიის მასზე გულის აცრუებაა და როგორც ასეთი, სოციალისტის მიერ დაგმობილი უნდა იქნეს.

მესამე ნაბიჯი—სწორ მოაზროვნე სოციალისტისაა, რომელიც ყოველივე წუთს არ ჰკარგავს, მას არც ოცნება იტაცებს და არც ძილი. ის გარკვეულად მუშაობს და ყოველ წუთს შესაფერ ნაბიჯს დგამს. ეს უკანასკნელი ინტერნაციონალისტების ოპოზიციაა, სხვები კი მკითხველისთვის მიმინდვია გამოსაცნობათ.

ისეთ საქმეზე, როგორიც რევოლიუციაა, სიჩქარე ტკბილი ილიუზიაა, მაგრამ თუ კი გვინდა რევოლიუციის გაღრმავება და მისი საბედნიეროთ დამთავრება, როგორც სიჩქარე, ისე ძილიც დაგმობილ უნდა იქნეს რევოლიუციისთვის, ვიდრე მისი მიზანი მას არ განუმტკიცებია.

სიჩქარე გატაცებულთათვის, ძილი კმაყოფილთათვის, ხოლო ვინაც ეს რევოლიუცია მოახდინა, ის უნდა იდგეს გარკვეულ პოზიციაზე, მას არ უნდა იტაცებდეს უტოპია და არც ის, რომ კიბოსავით უკან მიექანებოდეს.

ორივე შემთხვევაში მასის უკმაყოფილება, ანარქია, ეკონომიური კრიზისი აუცილებელია, მით უმეტეს დღეს, როცა მსოფლიო ომის დროა.

ერთი სიტყვით, დიდი სიფრთხილე, დიდი წინდახედულება, დროს შესაფერად მოხმარა და სოციალდემოკრატიული პოზიციის გარკვეულად ახსნა მასსისთვის. მეორე—ეკონომიური კრიზისის რამე ნაირად თავიდან აცილება—„მე პირველი ვიყოვო“, ეს არ უნდა არსებობდეს და მაშინ ეშველება ჩვენს რევოლიუციას და ის დაგვირგვინდება. თვითნებობას, თვით გასამართლებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს რევოლიუციაში. ეკონომიური კრიზისი ასე თუ ისე მოისპობა თუ შრომის ბეგარა სამხედრო ბეგარასთან ერთად იარსებებს; უმთავრესია რევოლიუციაში საზრდო და საზრდოს კი სოფელი იძლევა. ამიტომ თითო ოჯახს შერჩეს უნდა თითო მარჩენალი, მაგრამ ის ვალდებული უნდა იყოს რამიე გააკეთოს და არა ის, რომ „სპირტი“ ზიდოს მოსკოვში ან და ჩარჩულ საქმეს ეწეოდეს. აი მაშინ არც ამდენი ანარქია იქნება, ყველა თავის საქმეზე იქნება, სალდათიც დარწმუნდება ის თუმც ბრძოლაშია, მაგრამ სხვებიც არ არიან მუქთა-მჭამლები, სხვებიც რევოლიუციისათვის სავალდებულო შრომაში არიან. სალდათი იქნება რევოლიუციის დამცველი და მუშა რევოლიუციონერთა მარჩენალი.

მოვაწყობთ საქმეს ასე, რევოლიუციაც უზრუნველ ყოფილი იქნება.

გაუმარჯოს მენშევიკ ინტერნაციონალისტებს!

ს. ებრალიძე.

უცხოეთი

იტალიელების დიდი გამარჯვება. როგორც იტალიის ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, იტალიელებს ფრონტზე 13 და 16 იანვარს გერმანელთა ორი დივიზია სრულიად გაუნადგურებია. ტყვეთ წამოუყვანიათ 100 აფიცერი და 2500 ჯარისკაცი, წაურთმევიათ გერმანელებისათვის 6 დიდი ზარბაზანი, 100 ტყვიისმფრქვეველი და რამდენიმე ყუმბარის სასროლი იარაღი. ამ ორი დღის განმავლობაში ჩამოუგდიათ 16 ჰაეროპლანი. იტალიელები განაგრძობენ წინ წაწევას.

ამერიკელები ჯარებს გზავნიან საფრანგეთში. ამერიკის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ უკვე მზათ ჰყავთ საფრანგეთში გასაგზავნათ 32 დივიზია. ახლო მომავალში საფრანგეთში გაგზავნიან ნახევარ მილიონ ჯარს, ხოლო 1918 წლის განმავლობაში ამერიკას შეუძლია გადაგზავნოს ერთ მილიონ ნახევარი ჯარი.

დიდი გაფიცვა გერმანიაში. გაზ. „ფორვერტსი“ იტყობინება, რომ ბერლინში მოხდა დიდი გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 250.000 მუშა. ახლომახლო ადგილებიდან მათ შეუერთდა კიდევ 50.000 მუშა. დიდი გაფიცვები მოხდა აგრეთვე ჰამბურგში და კილში. უკანასკნელ ცნობებით ბერლინში გაფიცულია 700.000 მუშა. გაფიცვა ელვის სისწრაფით ედება მთელ გერმანიას. ამის გამო დაიხურა შემდეგი გაზეთები: „ბერლინელ ტაგებლატი“, „პოსტი“, „ფორვერტსი“ და „დოიტშე ცაიტუნგი“.

სახალხო მილიციის დებულება საქართველოში

1. სახალხო მილიცია არსდება რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებათა და მოქალაქეთა დასაცველათ. სახალხო მილიციაში უნდა უეჭველად ჩაეწეროს ყველა ის მოქალაქე, ვისაც შეუძლიან იარაღის ტარება 18 წლიდან 45 წლამდე, გარდა იმ პირების, რომელთაც არსებულ განკარგულებათა ძალით, უნდა იმსახურონ რეგულიარულ ეროვნულ ერთეულებში.

2. მილიციონერთ გაწვრთნა უნდა გაგრძელდეს 2 თვე.

3. სახალხო მილიციის მოსაწყობად და გასაწრთვნელად ეროვნულის საბჭოს სამხედრო სექციასთან არსდება „სახალხო მილიციის მოწყობის და გაწრთვნის განყოფილება“.

4. ყოველ ქალაქში, მაზრაში ან სათანადო ადმინისტრატიულ ერთეულში სამხედრო სექცია გზავნის ინსტრუქტორებათ ქართულ ჯარის აფიცრებს.

ერთი მათგანი ინიშნება მთავარ ინსტრუქტორათ, [illegible] თანაშემწეებათ კი ადმინისტრატიულ ერთეულის სივრცის მიხედვით, რამოდენიმე აფიცერი-ინსტრუქტორი უნდა დაინიშნოს.

5. ჯარისკაცი ინსტრუქტორები უნდა დანიშნულ იქნენ ადგილობრივ [illegible] რებთაგან, განსაკუთრებით ყოფილ ჯარისკაცთაგან.

6. ინსტრუქტორები მოღვაწეობის დროს უნდა შეუთანხმდენ აღმასრულებელ კომიტეტებს და მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. ამ უკანასკნელთ ევალებათ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ინსტრუქტორებს, მაგრამ ამასთანავე ისინი არ უნდა ჩაერიონ სპეციალურ სამხედრო გაწრთვნის საქმეში.

7. ადგილობრივი კომისრები მოვალენი არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ინსტრუქტორებს, როგორც გაწვრთნისათვის საჭირო იარაღის, ისე გადაზიდვის საშუალებათა მიწოდებით.

8. სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტები, ინსტრუქტორებთან ერთათ ვალდებული არიან შეადგინონ გასაწვევ პირთა სწორი და დაწვრილებითი სიები მილიციაში თანახმათ ამ დებულების მე-2 მუხლისა.

შენიშვნა: ეს სიები დროგამოშვებით უნდა იცვლებოდეს და ივსებოდეს.

9. სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტებმა უნდა წარუდგინონ მილიციონერების სახელობით სიები სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო უკანასკნელმა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს. სიების ასლი სახელმძღვანელოთ უნდა გადაეცეს ინსტრუქტორებს.

10. გაწვრთნა-ვარჯიშობა სწარმოებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექციის მიერ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით, რომელიც ამას ზედ ერთვის.

11. მილიციონერთაგან შედგება წყება (ვზვოდი) და რაზმები (დრუჟინა).

12. გაწრთვნა სწარმოებს ადგილობრივ, მაგრამ შესაძლებელია მილიციონერების დროგამოშვებით მსხვილ ნაწილებად შეერთება საერთო ვარჯიშობისათვის.

13. სამხედრო სექციის განკარგულებით დროგამოშვებით შემოწმებენ, როგორ მიმდინარეობს მილიციონერთა გაწრთვნა-ვარჯიშობის საქმე.

ინსტრუქცია.

სახალხო მილიციის მოწყობისა და მისი გაწრთვნის შესახებ საქართველოში.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექციამ საქართველოს სახალხო მილიციის დებულების განსავითარებლად და შესავსებათ დაადგინა:

1. სახალხო მილიციაში უნდა ჩაეწერონ ყველა ქართველი, თანახმათ „დებულებაში“ ნაჩვენებ წესისა.

2. მილიცია ეხლავე უნდა მოეწყოს შემდეგ ქალაქებსა, მაზრებსა და ოლქებში:

ა. ქალაქებში: ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ქუთაისში, გორში, თბილისში, დუშეთში, თელავში და სიღნაღში.

ბ. მაზრებში: ზუგდიდისა, ქუთაისისა, ლეჩხუმისა, ოზურგეთისა, რაჭისა, სენაკისა, შორაპნისა, გორისა, თფილისისა, დუშეთისა, თიანეთისა, თელავისა და სიღნაღისა.

გ. ოლქებში: სოხუმისა.

3. სასურველია, რომ ხელმძღვანელებად (ინსტრუქტორებად) აფიცრები ადგილობრივ მკვიდრთაგან ინიშნებოდეს. ხელმძღვანელი აფიცრები უნდა განაწესონ ჯარის ნაწილებმა. ისინი ისარგებლებენ ყოველივე უფლებებით, და უპირატესობით, როგორიც ენიჭება მუდმივ ჯარის ნაწილებში მსახურ პირებს.

4. უფროს ხელმძღვანელებად უმთავრესად უნდა იყვნენ გამოცდილი და ენერგიული შტაბ-აფიცრები.

5. მეორე მუხლში ნაჩვენებ ყველა ქალაქებსა, მაზრებსა და ოლქებში დაინიშნოს თითო უფროსი ხელმძღვანელი.

6. უფროს ხელმძღვანელებს უნდა დაენიშნოს: ბათუმსა, ფოთსა, სოხუმსა, ქუთაისსა, გორსა, დუშეთსა თელავსა და სიღნაღში ორ-ორი უმცროსი ხელმძღვანელი, ხოლო თფილისში სამი.

7. რაიონების მიხედვით დაინიშნოს ზუგდიდის მაზრაში 3 უმცროსი ხელმძღვანელი, ქუთაისისა 5, ლეჩხუმისა 3, ოზურგეთისა 3, რაჭისა 2, სენაკისა 3, შორაპნისაში 5, სოხუმის ოლქში 4, გორის 3, დუშეთისა 4, სიღნაღისა 5, თელავისა 2, თბილისისაში 4, თიანეთის მაზრაში 3.

8. ამ თანამდებობაზე გასამწესებელი პირთა სიები უნდა წარადგინოს სამხედრო სექციას კორპუსის შტაბის მიერ.

9. ვარჯიშობის დაწვრილებით ნუსხას ადგენენ უფროსი ხელმძღვანელნი აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად, ნუსხის პირი უნდა წარედგინოს სამხედრო სექციას.

10. ვარჯიშობისათვის უნდა გამოყენებულ იქნას ის იარაღი, რომელიც ხელთ აქვთ მცხოვრებთ და ადგილობრივ მილიციას.

11. თუ ეს იარაღი საკმაო არ იქნება, დანარჩენი საჭირო იარაღი უფროს ხელმძღვანელს გადაეცემა მახლობელ ქართველ ჯარის ნაწილთ საწყობებიდან.

12. ყოველ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს უნდა ჰქონდეს საწყობი იარაღისა, პატრონებისა და საომარი ხელსაწყოსი.

13. ხელმძღვანელნი და სარაიონო კომიტეტი თანაბრათ პასუხს აგებენ იარაღის, პატრონების და საომარ ხელსაწყოს დაცვა-შენახვის საქმეში.

14. უფროსი ხელმძღვანელები ყოველკვირეულად მოახსენებენ სამხედრო სექციას ვარჯიშობის მსვლელობაზე.

15. მილიციის გაწრთვნის დროს უნდა იხელმძღვანელონ რუსეთის რესპუბლიკაში არსებულ წესდებით და დებულებით.

16. ის ხელმძღვანელნი, რომელნიც გულცივად მოეპყრობიან თავის მოვალეობას დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდან.

17. იმ მილიციონერთა წინააღმდეგ, რომელნიც მეცადინეობას წესიერად არ ესწრებიან ზომები უნდა მიიღონ აღმასრულებელმა კომიტეტებმა და მუშათა და გლეხთა საბჭოებმა.

მილიციონერთა ვარჯიშობის პროგრამა.

1. სამხედრო ძალთ დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობა (ხალხის შეიარაღება).
2. სხვადასხვა გვარის ჯარების შესახებ.
3. დაწვრილებითი შესწავლა ვინტოვკისა, ტყვიისმფრქვეველისა და რევოლვერისა.
4. სროლის საქმე და სროლა.
5. გაფანტული წყობა.
6. წრის შემადგენელ პირთა მოვალეობანი.
7. ადგილთან შეფარდება და გაქცევა გამოქცევა.
8 ხიშტით მოქმედება.
9. შემოსანგვრა.
10. მანძილის თვალსაზომით გამონაგარიშება.
11. რუქების და გეგმების შესახებ.
12. დაზვერვის მოწყობა და საშუალებანი.
13. სალაშქრო მოძრაობა და მისი დაცვა.
14. დარაჯობა.
15. საგარნიზონო სამსახურის წესდება (ყარაულის შემადგენელ პირთ მოვალეობანი).

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექცია.

მეშვიდე ქართულ პოლკში

20 იანვარს, საღამოს 9 ნახ. საათზე მეშვიდე ქართულ პოლკის ცეიხგაუზს (ტანისამოსის და სურსათ სანოვაგის საწყობი) ესტუმრა რამოდენიმე შეიარაღებული ქურდები. დარაჯმა ეს გაიგო მხოლოდ მაშინ, როცა ქურდებმა რაც უნდოდათ და ეზიდებოდათ გარეთ გამოიტანეს და მიჰქონდათ.

რადგანაც ქურდები ბლომათ იყვნენ და შეიარაღებულიც, დარაჯი გამოიქცა და შეატყობინა პოლკში. საჩქაროთ გა-

მოვარდნილა ოთხი ჯარისკაცი და დადევნებია ქურდებს, რომლებიც უკვე მტკვრის პირზე ჩასულიყვნენ და რიყით ზევით მიდიოდნენ. ჯ.-კ. დაუძახეს გაჩერდითო, მაგრამ ქურდები გაჩერების მაგიერ გაიქცნენ. ჯ.-კ. მათ სროლა აუტეხეს. ქურდებმაც სროლითვე უპასუხეს. ამ დროს მოუსწრო პოლკის მორიგე აფიცერმა რამოდენიმე ჯ.-კაცებით. ქურდებმა დაინახეს, რომ აქ ვერას გახდებოდნენ, დაყარეს ნაცარცვიდან, რაც მძიმე იყო (მაგ. ტომრებით შვრია) და გაიქცნენ.

მათ დასტოვეს ერთი მოკლული, რომელიც აღმოჩნდა იქვე პირდაპირ მიხეილის პროსპექტზე წვრილი მოვაჭრე ნესტორ მაისაშვილი. მის სახლში ნახეს რამოდენიმე შინელი და საცვლები. ბილიკზე, რომელსაც მტკვრის რიყიდან მის სახლში მივყევართ, ეყარა ტომრებით შვრია და სხვა ნივთები ცეიხგაუზიდან განატაცი, რომელიც სროლის დროს დაუყრიათ და გაქცეულან.

მაისაშვილის ცოლი და შვილები ამბობენ, რომ მოკლული იმ საღამოს მთვრალი იწვა სახლში; მასთან მოვიდა ვიღაც მეთევზის ძმის შვილი, ძალით გაიყვანა გარეთ, ვითომ ღვინის დასალევათო; მას გაყვა პატარა ვაჟი, რომელიც მოწამე გახდა მამის სიკვდილისა და გაძარცვისო.

მაისაშვილის ქვრივი ამბობს: ის მეთევზე მისი ძმის შვილი და ვიღაც კიდევ ქალები პროფესიონალური ქურდები არიან: მათთან სალდათებს აუარებელი შინელები და სხვადასხვა ნივთები მოაქვთო, გუშინ წინ ორი ლორი მოიყვანეს; ერთი გაექცათ, ერთი დაკლეს და გაყიდესო, მათ ერთხელ ჩემმა ქმარმა შენიშნა: საიდან გაქვთ ამდენი ფულები, არაფერს მუშაობთ, არაფერს აკეთებთო, რის შემდეგაც ისინი გადაემტერენ და, აი, წუხელის წაიყვანეს და მოჰკლესო.

არ ვიცით რამდენათ ახლოა სინამდვილესან ქვრივის ასეთი განცხადება; მაგრამ ღრმათ მრწამს, რომ თუ ამას სათანადო ყურადღება მიექცევა ვისგანაც ჯერ არს, აქ ქურდების დიდი ორგანიზაციის დაჭერა შეიძლება. აქ არ არის ორი და ოთხი კაცი! აქ არ არიან მარტო მეშვიდე პოლკის ცეიხგაუზის გამქურდავები (მეორეჯერ გაქურდეს), აქ უფრო ძლიერი ორგანიზაციაა, რომლის დაჭერაც შეიძლება, თუ კი ქალაქის სათანადო ორგანო შესაფერ ზომებს მიიღებს.

პოლკის კომიტეტმა უკვე აირჩია კომისია ამ საქმის გამოსაძიებლათ, მაგრამ ეს კომისია უძლური იქნება მთელი ორგანიზაციის აღმოსაჩენათ. კომისიამ ყოველივე ღონე უნდა იღონოს იმის აღმოსაჩენათ, თუ ვინ არის თვით პოლკში ქურდები ჯარის-კაცებში, რადგან, პოლკში რომ მათ კარისკაცი არ ყავდეთ, წარმოუდგენელია ცეიხგაუზის ასე სისტემატიურათ გაქურდვის მოწყობა. შეიძლება ზოგიერთმა უწესოებამ, რომელსაც პოლკში ჰქონდა ადგილი, პირდაპირ აქ პოვოს თავისი ახსნა.

როგორც დღეს ნახული ცალიერი გილზებიდან სჩანს, ქურდები შეიარაღებული ყოფილან ოსმალური ვინტოვკებით.

მოკლული მაისაშვილი წაასვენეს მიხეილის საავათმყოფოში. მას აღმოაჩნდა 80 მანეთი ფული და ორი ოქროს ბეჭედი, რომელიც გადაეცა კომისარს.

ნარ.-ონი.

თფილისის სადგური

19 იანვარს ღამის ათ საათზე თფილისის სადგურზე სამწუხარო ამბები დატრიალდა. ბათუმში მიმავალ მატარებელში, მეორე კლასის ვაგონში ერთი ჩინელი ძუძუმწოვარ ბავშვიან ქალს მიუვარდა და გულში ჩაკრა დანა. ქალს ბავშვი ხელიდან გაუვარდა, იქვე წაიქცა. ჩინელი იმ წამში დაიჭირეს. როდესაც ამას თვალი შეასწრეს იქ მყოფმა ჯარისკაცებმა, დაიწყეს ყვირილი და უნდოდათ ჩინელი ხელში ჩაეგდოთ. ამ დროს მოვარდა ერთი გაჰალარავებული კაცი ტირილით და გაიძახოდა: „გამიშვით ვაგონშიო“. ჩინელმა დრო იხელთა და მასაც დანა ჩაჰკრა უკანიდან კისერში. თურმე მეორე დანა ქონოდა დამალული, და ეს კაციც იქვე გაგორა. მოვიდა ამხ. ვალ. შარაშიძე და რა დაინახა, რომ ჯარისკაცები ძალზე აღელვებულები იყვენ და შესაძლებელი იყო თვითგასამართლება მოეხდინათ, მიმართა მათ სიტყვით და აუხსნა, რომ მათ არ შეფერის ასეთი მოქმედება, რომელიც ჩირქს სცხებს და სხ. ამ სიტყვებმა გავლენა იქონია ჯარის-კაცებზე და დაიშალენ.

ასეთი ამბავი მოხდა კიდევ 20 იანვარს. ვიღაცა პროვოკატორმა სადგურში თოფი გაისროლა. ის მაშინვე შეიპყრეს და მიყავდათ ჩვენების ჩამოსართმევათ. ეს გაიგეს ფრონტიდან ჩამოსულმა ჯარისკაცებმა და ასტეხეს ერთი აურ-ზაური და მოითხოვდნენ მის ნაკუწ-ნაკუწათ ქცევას და გაიძახოდნენ: „ასეთებმა ჩვენ იარაღი უნდა აგვყაროსო“. არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა, ბრბოს თანდათან ემატებოდა. ზოგიერთები გაცხარებულ აგიტაციას ეწეოდნენ: „ეს სოციალდემოკრატი იქნება და ნაკუწნაკუწათ ვაქციოთო. სატუსაღოში რომ გავგზავნოთ, ხვალვე გაამართლებენ და გამოუშვებენო“. ამხ. შარაშიძეს, ქართულ პოლკის უფროსის და წითელ გვარდიელების მისვლამდე, უნდოდა ეს კაცი რამენაირათ გაეპარებინა, რომ ბრბოს არ მოეკლა იგი, მაგრამ ეს რომ ჯარისკაცებმა გაიგეს გარს შემოერტყენ და გასავლელი გზა არ მისცეს. შემდეგ, როგორც იქნა, რაზმელების თანხლებით წაიყვანეს ეს ვაჟბატონი იმ ადგილზე, სადაც მან თოფი ისროლა. ვაგზლის ქუჩაზე კიდევ შეაჩერეს ჯარისკაცებმა. ამ დროს გამოვიდა ერთი წევრთაგანი და ხალხს წესიერებისკენ მოუწოდებდა, მაგრამ ვიღაცა საეჭვო პირმა მას თოფის კონდახი ჩაკრა გვერდში და ცოცხალმკვდარი მიწაზე დაეცა. ვალ. შარაშიძემ დაჭერილი პირი ზოგიერთ შეგნებულ ჯარისკაცების დახმარებით ბრბოს გამოგლიჯა და მილიციის უფროსს გადასცა.

საშა ქდისტინეშვილი

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 21 იანვარს სახალხო სახლში გაიმართა თფილისის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის მეორე რაიონის წევრთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ივ. ხელაძე, მდივნათ—თედ. ხუხუნაიშვილი. კრებას დაესწრო 500 მეტი პარტიის წევრი.

დღის წესრიგში დაისვა კითხვები: მოხსენება მომენტის შესახებ, მოქმედება კოლექტივის მოღვაწეობის შესახებ, კოლექტივისა, თფილ. კომ. და სარევიზიო კომ. წევრთა ხელახალი არჩევნები და მიმდინარე კითხვები. სანამ კრება პრაქტიკულ კითხვების გარჩევას შეუდგებოდა, ამხ. კარლო ჩხეიძემ გააკეთა მოხსენება მომენტის შესახებ. შეეხო დამფუძნებელ კრების წევრთა თათბირის გარეკას უპასუხისმგებლო პირთა მიერ და სხვ. მოხსენებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე ამხანაგებზე და კრებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა მომხსენებელი. კრებამ მოისმინა მოკლე მოხსენება კოლექტივის მოღვაწეობის შესახებ და მცირე კამათის შემდეგ დაამტკიცა ის. შემოვიდა რიგის გარეშე წერილობითი განცხადება ავათმყოფ ამხ. რომანოზ რევიასაგან, რომ მას გაუწიონ ამხანაგებმა მატერიალური დახმარება. განცხადება მიღებულ იქნა მხედველობაში. იქვე შეკრებილ იქნა 70 მანეთამდე ამხ. რევიაზე გადასაცემათ.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა 18 იანვარს კოლექტივისა და მცირე კოლექტივების წევრთა შეერთებულ კრებაზე შემუშავებული სია კანდიდატებისა. კამათის შემდეგ კრება წაკითხულ სიას ღებულობს და ირჩევენ კოლექტივში შემდეგ პირებს: სტეფანოვს, თევზაძეს, რასკინს, კოპალეიშვილს, ბედინაშვილს, შევჩუკს, ლორიას, ს. თევზაძეს, ა. ნაცვალოვს, შაპიროს, ასათიანს, ლომიძეს, უმბრიევს, ა. თოდრიას, მინ. ტოროშელიძეს, თევდორაშვილს, გაჩეჩილაძეს პლ., უსტიევს, ი. გოგელიას, ი. ხელაძეს, თ. ხუხუნაიშვილს, ზურაბიშვილს და მინაევს; კანდიდატებათ: ღლონტი, ლ. რუხაძე, კიტიაშვილი, ლეჟავა და ჟღენტი; სარევიზიო კომისიაში: ამხ. მარუაშვილს, გ. ლომჯარიას, კ. საგორაშვილს; თფილ. კომ.: ამხ. მ. არსენიძეს, კ. გვარჯალაძეს, მინ. ტოროშელიძეს, ს. თევზაძეს, კოვალიოვს; კანდიდატებათ: ი. ხელაძე, ი. გოგელიას, ა. რუხაძეს. კრებამ ნება დართო სეილანოვისა და ენფინჯიანცის ფაბრიკების მომუშავე პარტიულ ამხანაგებს გამოგზავნონ კოლექტივში თითო წარმომადგენელი.

თ. ხ—ლი.

კვარცხანის ქარხანაში 13 იანვარს შესდგა რ. ს.-დ. მ. პარტიის წევრთა კრება; კრებამ სხვა კითხვებთა შორის განიხილა საკითხი პეტროგრადში 5 იანვარს დამფუძნებელ კრების გარეკის შესახებ. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც ერთხმათ კრება განუსაზღვრელ გაკიცხვას უცხადებს იმ პირებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 5 იანვარს დამფუძნებელ კრების გარეკაში და ვინც ასეთი მოქმედებით ხელს უწყობს თავისუფლების დასამარებას;ასეთი მოქმედება მშრომელი ხალხის ინტერესთა შელახვაა.

ივაკი გიორგაძე.

პროვინცია

ლიხაური (გურია). 26 დეკემბერს აქ შესდგა ბალშევიკების წინაალმდეგ საპროტესტო მიტინგი, მიტინგი გახსნა კომისარმა ამხ. ი. გობრონიძემ. ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. რ. კონტრიძემ ბალშევიკების ანარქისტულ მოქმედებაზე, ნაციონალურ ჯარში ჩაწერის, სპირტეულობის გაზიდვის წინაალმდეგ ზომების მიღების და ჯარისკაცების ოჯახების დახმარების, ტყის შესახებ და გადასახადების შესახებ. მოისმინა რა მიტინგმა ყველა ეს დაადგინა: ბალშევიკების ანარქისტულ მოქმედებაზე გამოეცხადოს მათ სასტიკი პროტესტი, დაუყონებლივ შესდგეს დამფუძნებელი კრება, რომელიც ბოლოს მოუღებს რუსეთის ანარქიას და აღადგენს კავშირს რუსეთსა და კავკასიას შორის ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე. სრულ ნდობას უცხადებს კავკასიის კომისარიატს და კავკასიის მუშათა მოძრაობის ბელადს ამხ. ნოე ჟორდანიას. ნაციონალურ ჯარში ჩაწერაზე, ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაცემულ იქნა უბნებში, რომ გამოიტანონ თავიანთი შეხედულება შემდეგ კი გამოიტანს თავის განაჩენს საზოგადო ყრილობა. სპირტის გაზიდვის წინაალმდეგ გამოსთქვას უბნებმა თავიანთი შეხედულობა, ასწერონ სია სპირტის მზიდველებისა და შემდეგ კი გადაეცეს საზოგადო ყრილობას განაჩენის გამოსატანათ. ჯარისკაცების ოჯახების დახმარების შესახებ, არჩეულ იქნა შემოწირულებათა მომკრეფი კომისია 13 კაცისაგან. ფულის გამნაწილებელ კომისიაშია არჩეულ იქნენ 7 თავისუფალი ჯარისკაცები. ტყის შესახებ, გადაიდეს გასარჩევათ უბნებში. შედგენილ იქნას ტყის მჩეხლების სია და გადაეცეს საზოგადო ყრილობას განაჩენის გამოსატანათ, რომ მათ საზოგადოებამ გადაუწყვიტოს ჯარიმა საზოგადოებისვე სასარგებლოთ. გადასახადების გადახდაზე, ესეც გადაცემულ იქნა უბნებში თვით უბნებმა გაარკვიონ გადამხდელების შეძლება—შეუძლებლობა, თუმც ისეთები აღმოჩნდებიან გაანთავისუფლონ თუ არა და ყველა გადამხდელებმა დაჩქარებით შემოიტანონ ხვედრი ფულები.

მუშა ბარიკაძე.

სართიჭალის რაიონი (კახეთი). ხალხი შეიარაღებას მოითხოვს, მიზეზი ბნელი ძალების მოქმედება არის. ნაძირალებმა თავი წამოჰყვეს და იტაცებენ ყველაფერს. ამას წინათ გაძარცვეს გომბორის და მუხროვანის საარტილერიო პარკის საწყობები, გაიტაცეს სხვადასხვა ნივთები. რომ ზემოხსენებული ხალხი არ ჩარეულიყო ქვას ქვაზე აღარ დასტოვებდენ. გაძარცვეს ფოსტა, სახაზინო ცხენები გაინაწილეს. ხალხი დაფაცურდა და აღმოაჩინეს დამნაშავენი—უმთავრესად მულანლოში მიიტანეს ყაჩაღების კვალი, რომელთაც გომბორის ნადავლი შეიტანეს და კვალდა-კვალ მიჰყვნენ გომბორის მცხოვრებლები, აფიცრები და სალდათები. ყაჩაღების წინაალმდეგ სხვა ზომებიც იყო მიღებული როგორც ადმინისტრაციის მხრით, აგრეთვე ჯარის მხრივ და მახლობელ სოფლებიდან—მაგრამ მულანლოს ერთმა ნაწილმა დაიფარა ყაჩაღები და უვნებლათ გადაარჩინა დაჭერისაგან. უჯარმელები ცდილობენ თავიანთ შორის აღმოაჩინონ დამნაშავენი, ხაშმში აირჩიეს საგანგებო კომისია, რომელმაც შეადგინა სახაზინო ცხენების სია, რომ ცხენები გამოკვებონ და პირველ მოთხოვნილებაზე დაუბრუნონ მთავრობას. აგრეთვე აღმოაჩინეს სახაზინო ნივთები მაგალითად: შინლები, საცვლები და სხვ., რომლის წამომღებნიც სასტიკათ დაგმეს, დასაჯეს ფულით, არა ნაკლებ 500 მანეთისა ბევრით და ნივთებიც ჩამოართვეს.

მულანლოს საზოგადოებას წინადადება აქვს მიცემული თუ არ აღმოაჩენს და არ დაიჭერს ყაჩაღებს, მთელი რაიონიდან ბოიკოტი ექნებათ გამოცხადებული. აგრეთვე თ. ჩოლოყაშვილს წინადადება მიეცა, რომ თავისი ყარაულები მოხსნას ტყიდან, რომელნიც გომბორის თათრის მენახშირეებთან ერთად იფარავენ და იღებენ მონაწილეობას ყოველივე ბოროტ-მოქმედებაში. საიდუმლო ცნობებით ურევიან ფშაველები, ოსები, ნორიოელები, პატარძეულიდან და მუხროვანიდან. მათ წინაალმდეგ ზომებია მიღებული.

ვან. მაისურაძე.

სოფ. მეჯვრისხევი (გორის მაზრა). 14 იანვარს ადგილობრივ ბალშევიკების ინიციატივით შესდგა კრება, რომელზედაც საგანგებოთ იყო მოწვეული თფილისიდან ვ. რუხაძე. კრების საგანი იყო თანამედროვე მომენტი. პირველად ილაპარაკა შემთხვევით მოსულმა ამხანაგ პორფირე ეფრემიძემ. გააცნო რა ხალხს თანამედროვე მომენტი, მოუწოდა დაფიქრებით ემოქმედათ და არ აჰყოლოდენ გატაცებულ ხალხის ფეხის ხმას. შემდეგ ილაპარაკა ბალშევიკმა ვ. რუხაძემ. ორიოდე სიტყვის შემდეგ ხალხი მიხვდა, ვინც იყო ის და აირ-დაირია, აღარავინ ყურს არ უგდებდა. აქა იქ გაისმოდა „ძირსო“.

ყველა ორატორები გარდა ბალშევიკ ვ. რუხაძისა, ხალხს მოუწოდებდენ ერთობის და დამფუძნებელ კრებისაკენ, და ბოლოს პორფირე ეფრემიძემ კრებას წარუდგინა შემდეგი რეზოლიუცია: რომლითაც პროტესტი გამოუცხადეს უპასუხისმგებლო პირებს დამფუძნებელი კრების გარეკვისათვის და მოითხოვეს დაუყოვნებლივ მისი მოწვევა. რეზოლიუცია კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

14 იანვარს, საღამოს 9 საათზედ დ. ერისთავის ოჯახს თავს დაესხნენ ქურდები, რომელთაც სახლში მყოფმა ერისთავის დამ მალე გაუგო და აცნობა მახლობელ მილიციას. მილიციონერები ჩაუსაფრდენ და ერთი ქურდთაგანი დასჭრეს კიდეც. წაღება ვერაფრისა ვეღარ მოასწრეს; თუმცა კი ზოგიერთი ნივთები წასაღებათ უკვე გაემზადებინათ.

შ. ა. ბერიანიძე.

სოფ. ხაშმი. ეს მეორე კვირაა, რაც ხაშმის ახალგაზრდობამ, რიცხვით ას კაცამდე ხელი მოაწერეს დადგენილებაზე, რომელიც უკვე გაიგზავნა სამხედრო კავშირში და ეროვნულ საბჭოში; თხოულობენ ადგილობრივ ჯარის მომწყობ ინსტრუქტორს. რომელიც ადგილობრივ გაიწვრთნებიან და აქედან გაიწვევენ საჭირო ადგილებში—მინამდე კი განსაზღვრულ დროსა და ვარჯიშობის შემდეგ თავის საქმეებს მოაგვარებს და ხაზინასაც შეღავათი ექნება.

სოფ. ხაშმის საზოგადო შემნ. გამს. ბანკის ამხანაგობამ გადასდო სამონასტრო წისქვილისა და სკოლის შესაკეთებლათ—5000 მან. ამ ჟამათ კომისია ცდილობს, რომ გახსნას სამეურნეო სკოლა სახელოსნო განყოფილებით. ადვილი შესაძლებელია თუ სამეურნეო საზოგადოებამ უხელმძღვანელა თავის მხრით. სოფელს კი მზათა აქვს სასკოლო და სახელოსნო შენობა აშენებული და ბაღი 18 დესეტინამდე. დღეიდანვე შემოსავალი დააკმაყოფილებს ნახევარ ხარჯს. წისქვილისთვის უკვე მოიტანეს ოთხი ქვა, ცემენტი, სასწორი, საწარმოო წიგნები და შეუდგენ კეთებას. სამეურნეო სკოლაში მსურველთ შეუძლიანთ მეზობელ სოფლელებმაც გამოგზავნონ ბავშვები სასწავლებლათ. ბინები მზათ არის მათთვისაც. მორიგება შეიძლება ადგილობრივ კომისიასთან. გადასახადი მცირე იქნება.

ვანო მაისურაძე.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

აფთონ იგივე ანტონ ირაკლისძე სირაძე, თავის სურვილით ჩაწერილი იყო სანიტრათ ტრაპიზონის მხარეს, მისი მისამართი იყო: ტრაპიზონი წითელი ჯვარი, ლაზარეთი № 7 ანტონ სირაძე. ხუთი თვეა მის შესახებ აფერი ვიცით, თუ ვინმემ რაიმე იცით, გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: ოზურგეთი-ხიდისთავი, ჰაჭიეთის სამკითხველო, აკაკი ირკალის ძე სირაძეს.

სამი თვე არის მას შემდეგ, რაც ჩემი შვილი აკაკი ლუკას ძე ჩხაიძე მსახურებდა სამხედრო სამსახურში და მას შემდეგ არავითარი ცნობა არ მოსულა. მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში 2 კავკასიის განყოფილების არტილერიის დივიზიაში მეორე ბატარეიაში. თუ ვინმემ იცით სად იმყოფება, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: სად. ლანჩხუთი, სოფ. აცანა, მირიან საბას ძე ჩხაიძეს.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ
ტელეფონი 14—28.

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული ჰალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა.
გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზნიჩნის ქუჩა, № 19.

ექიმი
ზ. დონხინი
ყოფილ ასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საქიმო).

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქუნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტეცილის გვერდით. ტელ. 15—00.

მოქალაქენო!

შეკავშირდით სახლის ორგანიზაციებში და ამოირჩიეთ სახლის კომიტეტები.

მძიმე და აუტანელმა დრომ, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით და რომელმაც გამოიწვია ტრანსპორტის მოშლა და ზოგ ადგილას კი მისი სრულიად შეწყვეტა,—უმწვერვალესად გაამწვავა სასურსათო საკითხი. ამ გაჭირვების ცოტათი შესამსუბუქებლათ და პროდუქტების დროზე მიღების მოსაწყობათ აუცილებელია თვითეულ რაიონის მოქალაქეთა თვითმოქმედება, ამისთვის კი საჭირო მოქალაქეთა ბინის ორგანიზაციებში შეკავშირება.

პროდუქტების მიღებაში დაურწმუნებლობა (ყველაზე უფრო კი პურის) და უსურსათოდ დარჩენის შიში მოქალაქეს იძულებულს ყოფს მთელი საათები იდგეს გრძელ რიგებში დუქნის გახსნამდი. ამ კუდების ბოლოს მოსაღებათ კი აუცილებლათ საჭირო მოქალაქეთა სახლის ორგანიზაციებში შეკავშირება.

რიგებში დგომით უსაფუძვლოთ დროს კარგვა და გულსაკლავი ლოდინი საზიანოა არა მარტო კერძო პირისათვის და ოჯახისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. და აი ვისაც სურვილი აქვს ებრძოლოს ამ ბოროტებას, მან უნდა გასწიოს აგიტაცია და ხელი შეუწყოს მოქალაქეთა დაჩქარებით ბინის ორგანიზაციებში შეკავშირებას.

სხვა ქალაქებში მოწყობილმა ასეთმა ორგანიზაციებმა გამოიღეს ნაყოფი და ბოლო მოუღეს შეუწყვეტელ გრძელ კუდებს და სასურსათო ბარათებით ბოროტმოქმედებას. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ გაკვეთილით და რაც შეიძლება დაჩქარებით შევკავშირდეთ **სახლის ორგანიზაციებში.**

სახლის ორგანიზაციების მიზნები და სამოქმედო ასპარეზი ფრიად ფართეა და შესაფერ გზას უხსნის თვითეულ მოქალაქის თვითმოქმედებას და ინიციატივას. იჩქარეთ გაეცნოთ მას და მოითხოვეთ უფასოთ სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი და ინსტრუქციები თუ როგორ უნდა შეკავშირდეთ სახლის ორგანიზაციებში.

ვინც სარგებლობს გრძელი კუდებით, მოქალაქეთა გაბოროტებით და აღშფოთებით და სასურსათო ბარათების ბოროტმოქმედებით ის იქნება მხოლოდ სახლის ორგანიზაციების წინაალმდეგი. მოქალაქენო! ნუ მიაქცევთ მათ ყურადღებას და დაუყონებლივ შეუდექით **სახლის ორგანიზაციებში შეკავშირებას.**

სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი, დაბეჭდილი ინსტრუქციები და ყოველივე ახსნა-განმარტების უფასოთ მიღება შეიძლება უბნის საბარათო ბიუროებში დილის 9 საათიდან 1 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

შეკავშირდით სახლის ორგანიზაციებში და ამოირჩიეთ სახლის კომიტეტები.

(3—3) **თფილისის ქალაქის გამგეობა.**

სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი

(გამომუშავებული განსაკუთრებულ სასურსათო საკრებულოს კომისიისაგან)

I სახლის ორგანიზაციების მიზანი.

1) სასურსათო კრიზისის შემსუბუქება: (პურის, შაქრის და სხვა პროდუქტების რიგებთან ბრძოლა).

2) სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა და აგრეთვე სახლის დამქირავებელთა და ბინის დამქირავებელთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება.

3) ბინის დამქირავებელთა და მათ მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების მოწესრიგება.

4) სახლების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესება.

5) ბინის ნაკლებობის წინაალმდეგ ბრძოლა.

6) ბინების დაცვა.

7) სახლების და ბინების შესაფერად მოწყობა. და სხვ.

II სახლის ორგანიზაციების შემადგენლობა.

სახლის ორგანიზაციების წევრათ ითვლება ყველა, ვინც კი ცხოვრობს სახლის ტერიტორიაზე, არის 18 წლის და გადახდილი აქვს დადგენილი გადასახადი.

III სახლის ორგანიზაციების მმართველობა.

სახლის ორგანიზაციების საქმეებს განაგებს:

ა) საერთო კრება.

ბ) ბინის კომიტეტი.

საერთო კრება ითვლება კანონიერათ თუ კრებაზე გამოცხადდა ყველა წევრთა ერთი მეხუთედი (ან ბინის წარმომადგენელთა ერთი მესამედი) თუ ვინიცობაა საერთო კრებაზე არ გამოცხადდა საკმაო წევრთა რიცხვი, კრება იწვევა მეორეთ ორი დღის განმავლობაში და ჩაითვლება კანონიერათ რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

საერთო კრება ირჩევს **სახლის კომიტეტს** (თავმჯდომარეს, მდივანს და სხვ. სხვადასხვა თანამდებობაზე საჭირო პირებს ირჩევს ერთმანეთს შორის თვით ბინის კომიტეტი). და 3 პირისაგან შემდგარ სარევიზიო კომისიას, ეს უკანასკნელები არ უნდა შედიოდენ ბინის კომიტეტში.

საერთო კრება იწვევა თვეში ერთხელ.

საერთო კრებაზე კითხვები იჭრება ხმის უმეტესობით, ხოლო ხმების თანასწორათ გაყოფის დროს გადამწყვეტი ხმა თავმჯდომარეს ეკუთვნის.

სახლის კომიტეტი განაგებს სახლის ორგანიზაციების საქმეებს, მოჰყავს სისრულეში საერთო კრების ყველა გადაწყვეტილება. და თავის მოქმედებაზე ანგარიშს აძლევს საერთო კრებას წელიწადში ორჯერ.

IV სახლის ორგანიზაციების საშვალებანი.

1) სახლის ორგანიზაციების შემოსავალს შეადგენს საწევრო გადასახადი. თვითეული წევრი იხდის შესასვლელ და ყოველ თვიურ გადასახადს, რომელსაც გამოიმუშავებს საზოგადო კრება.

2) შემოწირულება.

3) სპეციალურ მიზნებისათვის შეწერილი გადასახადი.

სახლის კომიტეტებს აქვთ თავისი ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს ქუჩა და ბინის ნომერი. 3—3

ინსტრუქცია

შესახებ იმისა, თუ როგორ მოაწყონ სახლის კომიტეტები.

2—3 მდგმური (საინიციატივო ჯგუფი) იწვევს სახლის ყველა მდგმურთა ორგანიზაციულ კრებას. კრების მოწვევას ისინი აცნობებენ ორი დღით ადრე სახლში მცხოვრებთ დასანახ ადგილზე რამოდენიმე განცხადებების გამოკვრით.

შენიშვნა: თუ სახლში 5 ბინაზე ნაკლებია ამ შემთხვევაში უნდა მოიწვიონ 2—3 ან მეტი სახლის მცხოვრებნი.

განცხადების ნიმუში:

განცხადება

ყველა (სახელი და გვარი სახლის პატრონისა) სახლში
№———, ——————— ქუჩაზე მცხოვრებნი, მოწვეულია ორგანიზაციულ კრებაზე, რომელიც მოხდება ბინის №-ში (აღნიშნოს რიცხვი, დღე, დრო)

დღის წესრიგი:

1) სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი.

2) სახლის კომიტეტის არჩევნები.

საინიციატივო ჯგუფი.

კარგი იქნება თუ კრებას საღამოთი ან კვირა დღეს მოიწვევენ.

ორგანიზაციულ კრებაზე ერთი ინიციატორთაგანი ხსნის სხდომას და წინადადებას აძლევს კრებას ამოირჩიოს კრების თავმჯდომარე და მდივანი. ეს უკანასკნელი იწერს კრებაზე მოსულთა სახელსა და გვარს, ბინის ნომერს, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ და ადგენს კრების ანგარიშს.

კრების თავმჯდომარის არჩევის შემდეგ ერთ-ერთ ინიციატორთაგანს ეძლევ სიტყვა, რომელიც გააცნობს დამსწრეთ სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტ

შენიშვნა: დაბეჭდილი წესდების პროექტის უფასოთ მიღება შეიძლება საუბნო საბარათო ბიუროებში. წესდების შესახებ აზრების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას ამოირჩიოს კომიტეტი. კომიტეტში არჩეულ წევრთა რიცხვი უნდა განისაზღვროს წესდების თანახმათ

კომიტეტის ამორჩევის შემდეგ დამსწრენი ხელს აწერენ საუბნო სასურსათო კომიტეტში ჩასარიცხათ წარსადგენ განცხადებას.

განცხადების ნიმუში.

მე . . . . უბნის სასურსათო კომიტეტს.

. . . . ქუჩაზე სახ. მე-№-ში.

მცხოვრებთაგან

განცხადება

გვაქვს პატივი ამით გაცნობოთ, რომ ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი შევი რიბეთ (რიცხვი) 1918 წ. და ამოვირჩიეთ (კომიტეტის წევრთა რიცხვი) შემდგარ კომიტეტი, სახელდობ (ჩამოითვალოს ამორჩეულთა სახელი და გვარი).

(აქ მიყვება დამსწრეთა სახელი და გვარი).

—— . . თვე . . დღე 1918 წელი. (3—3)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი, № 1.